# ქალბატონებო, გილოცავთ დედის დღეს!


# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 3 მარტი, 2010 წელი.

№40 (6406)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



## „ხელისუფლება დამარცხდა, მაგრამ საქართველო არ დამარცხებულა!“ 3





## „ღვთისა და ერის წინაშე ვაცხადებ მზადყოფნას“... 4



## გუბაზ სანიკიძე: ქვეყანა წალეკეს ხელისუფლებიდან 5 გამოქცეულმა პოლიტიკურმა კუდელებმა

## საქართველოში კანონებს 6 მინისტრებიც ეურჩებიან?!

## სათაგურის, „გაპობილი“ ოპოზიციისა და მერის სავარძლის ამბავი 2

## 2 რა დააშავეს არათბილისელმა პენსიონერებმა?!



## რუსეთი და საქართველო გაუქვალავი ბილიკებით 8 შეაერთეს

## ვის ჯიბეში მიდის მილიონობით ნარკოდოლარი? 2

ხაჭაპურიძის ბრალდებები დაუყოვნებლივ რეაგირებას ითხოვს



## „კულტურული ციგანკა“ და ქართველი ვაჭარი 7

რა ხდება მეტრო „მარჯანიშვილის“ გვერდით?

## რატომ იქცა 10 მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საკითხი საკამათოდ?



## ◎ წინასაარჩევნო ცხელება

# სათაგურის, „გაპობილი“ ოპოზიციისა და მერის სავარძლის ამბავი

**ოპოზიციაში კვლავ უთანხმოებაა. თბილისის მერის არჩევნებამდე სამი თვით ადრე ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი დანაწევრდა და ისევ გამთლიანდა, თუ შეიძლება გამთლიანება ეწოდოს ალასანიას საკუთარ გაერთიანებაში დაბრუნებას. თავისთავად ის, რომ ოპოზიციამ ერთობა ვერ შეძლო, ბუნებრივია, იმოქმედებს არჩევნებზე. ნაწილი მონაწილეობს არჩევნებში, ნაწილი კი ბოიკოტს უცხადებს. ვიდრე ოპოზიცია დავობს, ხელისუფლება ქულებს იწერს და არჩევნებისთვის მიზანმიმართულად ემზადება.**

ქრისტიან-დემოკრატების წარმომადგენლის ლევან ვეფხვაძის თქმით, უგულავა დადის, ალმაშენებელი ვარო, და აშენებს რაღაცას, ოპოზიცია კი ერთმანეთს ჭამს. ამაზე ხელისუფლება ხითხითებს: „ზოგიერთი ჩემი კოლეგა ქართული სიმღერისა არ იყოს, ისე იქცევა, წურც მოფრინდები, წურც გაფრინდები. არჩევნებამდე რამდენიმე თვე დარჩა და ოპოზიცია ჯერ კიდევ ვერ შეთანხმდა, თუ რა ფორმით წარადგინოს ერთი კანდიდატი.“

სიმართლეა და როგორი! ხალხის ერთი ნაწილი უკვე ღიმილით ვარაუდობს, რომ უგულავა მერია. არც ტყუის ალბათ. წურც მოფრინდები, წურც გაფრინდების პოლიტიკა ოპოზიციის კანდიდატის რეიტინგზე უთუოდ იმოქმედებს. თუმცა, თავად ალასანიას თანაგუნდელები სიამაყით აცხადებენ, რომ მათმა ლიდერმა ხელი შეუწყო იმ ხალხის ლუსტრირებას, ვინც ნოღაიდელთანაა და ხელისუფლების ჯანსაღი ძალების კონსოლიდაცია მოახდინა. „ახალი მემარჯვენეები“ იმასაც ამბობენ, რომ ალასანიამ რისკსა და ხაფანგს კარგად გაართვა თავი. ხაფანგი პრაიმერი და ნოღაიდელი ყოფილა, ანუ ჩვენს ყოფილ პრემიერს სათაგური დაუგია ალასანიასთვის. მას კი თავი დაუძვრენია.

თავად ნოღაიდელმა უარყო პრაიმერში ფინანსური მონაწილეობა და ამ ყველაფერს, რაც მის გარშემო ხდება, ყურით მოთრეული უწოდა. **მისი თქმით, საერთო ჯამში, ეს საბაბად გამოიყენეს ოპოზიციის მიერ შერჩეული ერთიანი კანდიდატის საწინააღმდეგოდ.**

მართლაცდა, რა გამოდის? ოპოზიცია მთელ დროს ურთიერთობების გარკვევას უთმობს, ხელისუფლება კი მიზანმიმართულად და გულისამაჩუყებლად აცხადებს, რომ მას თბილისი და მისი მოუგვარებელი პრობლემები აწუხებს, და არა ის, თუ რა კონფიგურაციით გამოვლენ და დალაგდებიან საბოლოოდ მათი ოპონენტები.

ოპოზიცია, წინა ორი არჩევნების მსგავსად, ისევ შეცდომას უშვებს. საპარლამენტო ოპოზიციას ჰყავს თავისი კანდიდატი, „ალიანსს საქართველოსთვის“ – ასევე საკუთარი კანდიდატი, სოციოლოგიური კვლევა კი პარლამენტს გარეთ დარჩენილი ოპოზიციის ნაწილისთვის ცალკე კანდიდატს გამოავლენს, ანუ ოპოზიციური ხმები ნაწევრდება. ამას ალასანიას თანაგუნდელები კატასტროფად არ მიიჩნევენ, რადგან მთავარია ლიდერი ოპოზიციონერი კანდიდატის გამოვლენა. და იგი უკვე არსებობს ირაკლი ალასანიას სახით. ალასანია მოუგებს უგულავას, სჯერათ რესპუბლიკელებს.

ის, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში ოპოზიციის საპრეზიდენტო კანდიდატმა ლევან გაჩეჩილაძემ თბილისში 10 პროცენტით მიხეილ სააკაშვილი დაამარცხა, იმის მიუხედავად, რომ იყო კიდევ სამი ოპოზიციური კანდიდატი - ნათელაშვილი, გამყრელიძე და პატარკაციშვილი, არგუმენტად, ალბათ, არ გამოდგება, რადგან არჩევნები მაინც სააკაშვილმა მოიგო. ახლაც საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის ქვეყანაში არსებითად არაფერი შეცვლილა, ცესკოს თავმჯდომარეც თარხნიშვილის ალი-კვალი თუ არა, მისი მსგავსი მაინც არის.

კაცი იმედით ცოცხლობსო, ნათქვამია. ამ იმედის წართმევის უფლება ჩვენ, ბუნებრივია, არ გვაქვს. არც ალასანიას სიტყვებში ძალგვიძს ეჭვის შეტანა:

„ჩვენ მხოლოდ ერთი შანსი გვაქვს, დემოკრატიული გზით შევცვალოთ ხელისუფლება. ამ არჩევნებს აკვირდება საერთაშორისო საზოგადოებრიობა. წუღარავის ეგონება, რომ როგორც ადრე, ახლაც დაუშვებს არჩევნების გაყალბებას და შემდეგ ამ არჩევნების შედეგების აღიარებას. ეს არ მოხდება. ჩვენ მზად ვართ ყველა სცენარისთვის. ჩვენს ხმებს არავის დავუთმობთ.“

ალასანიას არ დაუკონკრეტებია, რა შანსები ექნება ხელისუფლების მომხრე მილიონი მკვდარი სულის პირობებში, ამას ემატება ისიც, რომ საარჩევნო კანონში ცვლილების თანახმად, ხელისუფლებას გამარჯვებისთვის ხმების მხოლოდ 30 პროცენტზე მეტის მოპოვება სჭირდება, და ეს არც გაუჭირდება.

**– ხელისუფლება არ გააყალბებს 30 მაისს არჩევნებს, – ფიქრობს ეროვნული ფორუმის ლიდერი გუბაზ სანიკიძე, – უკვე გააყალბა და არ სჭირდება. ცოტა ხნის შემდეგ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს გამოაცხადებს და იმაშიც გაგვაპობს შუაზე.**

საკითხავია, რა „გაპობას“ გულისხმობს? ოპოზიციური ერთობა ხომ კარგა ხანია ისედაც დაქსაქსული და „გაპობილია.“ მეტად როგორღა უნდა დაიყოს? მის ნაწილს ისიც კი ვერ გაურკვევია, პრაიმერი სჯობს თუ სოციოლოგიური კვლევა? ასეთ უპრინციპობაში ფრთიან ანგელოზად გამოიყურება ბოიკოტისტ-ლეიბორისტი შალვა ნათელაშვილი, ვინც მოვლენებს განზე მდგომი აკვირდება და არავის უპირისპირდება ხელისუფლების გარდა.

ნიჰილიზმით მოცული საზოგადოება კი დაიღალა პოლიტიკური თამაშებით და არა მგონია, „უცნობის“ ნაწინასწარმეტყველები „მორიგი პოლიტიკური ჭეჭა-ქუხილის“ დაწყება სურდეს. ასე რომ, ცოტა სკეპტიკურია ლევან გაჩეჩილაძის განცხადება, თბილისი პატარა ქალაქია, თუ ოპოზიციონერმა გაიმარჯვა და ხელისუფლებამ უგულავას გამარჯვება გვამცნო, ვერავინ შეძლებს ხალხის უკმაყოფილების შეჩერებას, რადგან მესამედ წაართმევენ თავისუფალი არჩევანის უფლებასო.

**დაველოდოთ, როგორ წარიმართება მოვლენები. გაჩეჩილაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, სააკაშვილი მერის სავარძელს ქუჩაში გამოიტანს და ოპოზიციას მიართმევს, თუ ხელისუფლება (როგორც მისმა აქტიურმა წარმომადგენელმა განაცხადა) არ დაუშვებს „მარგინალური ჯგუფების მოწოდებებით ქვეყანაში დესტაბილიზაციას, არ დაუშვებს იმ პირთაგან, რომლებიც ქართველი ხალხის მხარდაჭერის მოპოვებას მუშტით, მუქარითა და ჩაქუჩებით ცდილობენ..“**

**თამარ შაიშმელაშვილი**

## ◎ ბრიფინგი

# ვის ჯიბეში მიდის მილიონობით ნარკოდოლარი?!

## ხაჭაპურიძის ბრალდებები დაუყოვნებლივ რეაგირებას ითხოვს

**ხმაურიანი საქმეებით ცნობილმა ადვოკატმა შალვა ხაჭაპურიძემ პოლიტიკაში გადაბარგება ამჯობინა და პარტია „საქართველოს გამარჯვებისთვის“ შექმნა. დიდხანს არ გაუვლია, მან სკანდალურ განცხადებებს მიჰყო ხელი და ამჯერად ხელისუფლებას ამ გზით დაუპირისპირდა.**



რაც შეეხება გუშინდელ ბრიფინგს, მან საქართველოს მთავრობა (და არა მარტო საქართველოსიძ ნარკოდანაშაულობებში ამხილა. შალვა ხაჭაპურიძე ამბობს, მის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმეების ირგვლივ მოკვლეულმა მასალებმა აჩვენა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოაქვს ნარკოტიკული ნივთიერებები და ახდენს მის ბრუნვას.

საქმე ისაა, რომ ნებისმიერი ნარკოტიკის შემოწმებისთვის საჭიროა ნარკოტესტი, რომელიც ძლიერმოქმედი ნარკოტიკული ნივთიერებაა. ხაჭაპურიძის ოფიციალური მიმართვის შემდეგ გაირკვა, რომ ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, 2003 წლიდან 2006 წლამდე შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკოტესტები არ მიუღია. ეს ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ნარკოდანაშაულისთვის დაკავებული პირები უკანონო პატიმრები არიან. რაც შეეხება 2006 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროდან ხაჭაპურიძემ მიიღო ოფიციალური პასუხი, სადაც აღნიშნულია: **„სამინისტროს მუდმივად გააჩნია ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების საკონტროლო ნიმუშების მარაგი, რომელიც საჭიროებისამებრ გამოიყენება საექსპერტო მუშაობის მსვლელობისას. სტანდარტული ნიმუშების მომწოდებელია სოლიდური ფრანგული ფირმა, რომელიც ამარაგებს ევროკავშირის ლაბორატორიებს... შინაგან საქმეთა სამინისტრო შესაბამისი ნარკოტიკებით პერმანენტულად მარაგდება აშშ-ს საელჩოდან“.**



ამარაგებს თუ არა ნარკოტიკებით აშშ-ის საელჩო საქართველოს, როგორ შემოდის და ვის შემოაქვს? – ამ კითხვაზე პასუხგაუცემლად დატოვა ქვეყანა ძველმა ელჩმა ჯონ ტეფტმა, მაგრამ ამაზე საეჭვოდ დუმს ახალი ელჩიც. ამის შესახებ დღეს უკვე არაფერს ამბობს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტროს ამის დამადასტურებელი ინფორმაცია არ გააჩნია, ხოლო წამლის სააგენტოს მაშინდელი, 2006 წლის მონაცემებით აშშ-ის საელჩოზე საქართველოს ტერიტორიაზე ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების სტანდარტული ნიმუშების შემოტანისათვის საჭირო ნებართვა არ გაუცია.

ოთხი წლის შემდეგაც თემა არ არის დახურული. ხაჭაპურიძე კი ამბობს, რომ ვინაიდან შსს-ს უწინდელი ინფორმაციით მას ნარკოტესტებს ამერიკის საელჩო პერმანენტულად აწვდის, ეს იმას ნიშნავს, რომ საელჩო აწარმოებს ნარკოტიკების უკანონო, არალეგალურ ბრუნვასა და ძლიერმოქმედი ფსიქოტროპული საშუალებების საქართველოში უკანონოდ გასაღებას.

შალვა ხაჭაპურიძეს, როგორც ადვოკატს მაშინ პასუხი არ გასცეს, როგორც პოლიტიკოსს მაინც გაუწევენ ანგარიშს, – ვარაუდობს ყოფილი ადვოკატი და ამ თემით კიდევ ერთხელ აპელირებს.

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის 2008 წლის ანგარიშის მიხედვით საქართველოში ნარკოტიკების 200 ათასი მომხმარებელია. თუ თითოეული ნარკომანი დღეში სულ მცირე 0,1 გრამს მოიხმარს, ეს წელიწადში 36,5 გრამი გამოდის, ხოლო თუ ამ ციფრს 200 ათასზე გავამრავლებთ – წელიწადში 7,3 ტონა ნარკოტიკი მოიხმარება. მოკლედ, ყოველწლიურად სულ მცირე 730 მილიონი დოლარის ღირებულების ნარკოტიკი საღდება, – ამბობს ხაჭაპურიძე.**

შავი ფულით ვისი ჯიბეები ივსება, ამას დიდი მიხვედრა არ სჭირდება, ახლა მთავარია, ვარაუდი დამტკიცდეს, მაგრამ როგორ?!

**თეა მოსია**

## ◎ გამოხმაურება

# რა დააშავეს არათბილისელმა პენსიონერებმა?!

**მერიის ინიციატივა – თბილისში მცხოვრები პენსიონერებისთვის 10-ლარიანი დანამატი, 25-ლარიანი წამლის ვაუჩერი და საქალაქო ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის უფლება – 1 მარტიდან შევიდა ძალაში. უბრალო დამთხვევა არ უნდა იყოს, არჩევნებამდე სამი თვით ადრე, მხოლოდ თბილისელ პენსიონერებზე ყურადღების გამახვილება. იოლი მისახვედრია, რომ ეს მხოლოდ წინასაარჩევნო პიარია. საყურადღებოა ისიც, რომ ეს პროგრამა არა თბილისის, არამედ ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსდება.**

ამ თემას ეძღვნებოდა პრესკონფერენცია, რომელიც გუშინ მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ ლევან როინიშვილმა გამართა თემაზე: „პენსიები“.

**ლევან როინიშვილი:** „ხელისუფლება მოსახლეობის რეგიონული ნიშნით დისკრიმინაციას ახდენს, რაც გამოიხატება იმით, რომ მხოლოდ თბილისელ პენსიონერებს მისცეს 25-ლარიანი წამლის ვაუჩერი, ნახევარ ფასში მგზავრობის საშუალება და პენსიის 10-ლარიანი დანამატი.

ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ შეღავათების ფარული მიზანია თბილისის მეროზის სამთავრობო კანდიდატის გიგი უგულავას წინასაარჩევნოდ პრივილეგირებულ პოზიციაში ჩაყენება, რაც საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევაა. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ეს შეღავათები უნდა დაფინანსდეს არა თბილისის, არამედ ცენტრალური ბიუჯეტიდან.

რეგიონული ნიშნით პენსიონერების დაჩაგვრას უფრო შორს მიმავალი მიზნები აქვს... მმართველი პარტია აქედანვე ემზადება საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, რომლის ერთ-ერთ რეალურ სამომავლო კანდიდატად დღევანდელი მერი მოიაზრება. ამიტომ წინასაარჩევნო კამპანიას წარმართავს ლოზუნგი: „თუ გსურთ რეგიონებშიც ისეთივე ყურადღება მოგაქციონ, როგორც თბილისში, მაშინ პრეზიდენტად გიგი უგულავა აირჩიეთ“. სწორედ ამ ლოზუნგისთვის საფუძვლის ჩაყრას ემსახურება პენსიონერების დღევანდელი დისკრიმინაცია“.

მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ მოითხოვეს, რომ დედაქალაქში პენსიონერებისთვის დაწესებული სოციალური შეღავათები მთელს საქართველოზე გავრცელდეს.

**თინათინ ბორცვაძე**

## ◎ ინფორმაცია

### პრეზიდენტი მოვლენებს ვერ ეწევაო

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მზადაა ეროვნულ პოლიტიკურ ძალებთან ითანამშრომლოს. ამის შესახებ გუშინ გამართულ ბრიფინგზე პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ განაცხადა.**

– პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ იმდენად სწრაფად ვითარდება და იცვლება მოვლენები, რომ ძნელია ამას თვალი მიადევნოს, თუმცა მიუხედავად ამისა, იგი მზად არის ყველა ეროვნულ პოლიტიკურ ძალასთან ითანამშრომლოს, – აღნიშნა მანჯგალაძემ.

მისივე თქმით, პოლიტიკური ძალები, რომლებიც კრემლის რეჟიმთან თანამშრომლობენ და მათი გეგმის შესრულებაში იღებენ მონაწილეობას, რომელიც საქართველოს ხელახალ ინტერვენციას ითვალისწინებს, ქართველი ხალხისთვის მიუღებელია და მათ განაჩენს სწორედ ხალხი გამოუტანს.

ამასთან, პრეზიდენტი სააკაშვილი თვლის, რომ ქვეყანაში კრემლი სერიოზულ დასაყრდენ ძალას ვერ მოძებნის და სერიოზულ პრობლემებს ვერ შეუქმნის ქვეყნის უსაფრთხოებას.

### გაჩეჩილაძე თავის ადგილს ეძებს

**„დაიცავი საქართველოს“ ლიდერი, ლევან გაჩეჩილაძე ოპოზიციაში თავისი როლის განსაზღვრას ელის. ამის შესახებ გაჩეჩილაძე ჟურნალისტებს ესაუბრა.**

– ჩემი როლი ჩემმა კოლეგებმა უნდა განსაზღვრონ, რადგან მე ჯერჯერობით არცერთ პოლიტიკურ გაერთიანებაში არ გავწევრებულვარ. ამის შემდეგ გაირკვევა რა ფორმით ჩავერთვები პოლიტიკურ პროცესებში, – განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ.

ჯი-ეიჩ-ენი

„შავსათვალიანი“ ოპოზიცია

# ხელისუფლება დამარცხდა, მაგრამ საქართველო არ დამარცხებულა!

## დეპუტატ გიორგი თარგამაძის გამოსვლა პარლამენტის 26 თებერვლის სხდომაზე



ბატონო პრეზიდენტო, თქვენ შექმენით სისტემა, რომლის სათავეშიც უნდა იჯდეს სუპერმენი – არანორმალურად ჭკვიანი, შრომისმოყვარე, პატრიოტი, არანორმალურად ჯანმრთელი ადამიანი, რომელიც დღეღამეში 25 საათს იმუშავებს და განაგებს ერთპიროვნულად. პრეზიდენტად – სუპერმენი და მის გარშემო – მთელი მისი ამალა, მთელი მისი მთავრობა და საკონსტიტუციო უმრავლესობა – როგორც მისი ავატარები, რომლებიც ყველაფერზე კვერს დაუკრავენ – აი ეს არის სქემა, რომლითაც თქვენ მართავთ ქვეყანას. თქვენს გარშემო არიან ადამიანები, რომლებიც ყველაფერში გეთანხმებიან, ადამიანები, ვის თავშიც პრინციპულად არ შეიძლება დაიბადოს კრიტიკული აზრი, რადგან ისინი მხოლოდ ერთი პარამეტრით იქნენ შერჩეულები თქვენს გარემოცვაში. ეს პარამეტრია უსაზღვრო ლოიალობა. თქვენ ამბობთ და თქვენი საკონსტიტუციო უმრავლესობა უმალვე ასრულებს ნებისმიერ თქვენს ფანტაზიას.

### უსაფრთხოება. საგარეო პოლიტიკა

**ხელისუფლებაში კრიტიკული აზროვნების კრიზისია და ამ კრიზისზე ჩვენ ჯერ კიდევ შარშან ვლაპარაკობდით, როდესაც აგვისტოს ომის შემსწავლელ კომისიაში მოვამზადეთ რეკომენდაციები ეროვნული უშიშროების საბჭოსთან დაკავშირებით. ეს რეკომენდაციები არ შესრულებულა. თქვენ არ გჭირდებათ უშიშროების საბჭო და არც არავითარი სხვა საბჭო, რადგანაც ნებისმიერი საბჭო სათათბირო ორგანოა, ხოლო თქვენ თათბირი არაფერში გარგიათ. თქვენ ამბობთ და უნდა შესრულდეს – აი ასე დაინგრა ჩვენი უსაფრთხოების სისტემა.**

სწორედ ეს „ითქვა-შესრულდას“ პრინციპი დავუპირისპირეთ ერთადერთ იარაღად რუსეთის ბევრად აღმატებულ დიპლომატიურ შესაძლებლობებს და ამიტომაც იწვნია ქვეყანამ წარუმატებლობის მთელი სერია საერთაშორისო ასპარეზზე: ეუთოს და გაეროს მისიები შეწყვეტილია, ევროკავშირის მანდატი კვლავ შეზღუდულია, შავი ზღვის აუზში მალე ალბათ მისტრალს შემოგვიცურებენ, სატელიტებზე ქართულ ტელეარხებს აღარ აჭაჭანებენ. საერთოდ უცხო ქვეყნის შიდა პოლიტიკაში პრეზიდენტის ზედმეტი დაინტერესება ქვეყანას ძვირად უჯდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა შენი ფავორიტი მარცხდება, არადა, ბოლო ხანს სულ ასე ხდება: საკონსტიტუციო უმრავლესობა ვერ გიბედავთ, შეგახსენოთ ოქროს წესი: ილბალი თუ არ გწყალობს, სამორინეში არ უნდა შეხვიდე. ჯერ იყო და, ფსონი ჩემთვის უაღრესად საპატივცემლო ადამიანზე, მაკკეინზე გააკეთეთ და თქვენმა ავატარებმაც მანქანის სანომრე ნიშნებზე მისი სახელი დააწერეს, მაგრამ ვერ გამოიცანით; უკრაინაში ძალოვანი დამკვირვებლების დესანტი გადავსხით, მაგრამ ვერც ამ შემთხვევაში გაგიღიმათ ბედმა. წინ დიდი ბრიტანეთის არჩევნებია. ზუსტად ვიცი, რომ კონსერვატორები იმარჯვებენ და სულმა არ წაგძლიოთ ფსონის გაკეთება ბრიტანელ ლეიბორისტებზე (საერთოდ ჩვენი რჩევაა, ბატონო პრეზიდენტო: შეეშვით აზარტულ თამაშებს საგარეო პოლიტიკაში, ხომ ხედავთ, რომ არ გიმართლებთ)...

– ხუმრობის ხასიათზე ნამდვილად არ არიან ყაზბეგელები: ერთ კვირაში ლარსის საზღვარი იხსნება და მოხევეებს ჯერაც არ მიუღიათ დამაჯერებელი პასუხი კითხვაზე, საომარ მდგომარეობაში მყოფ სახელმწიფოსთან გახსნილი საზღვრის პირობებში როგორ უზრუნველყოფთ მათს უსაფრთხოებას და ჩვენი მთავრობიდან არც იმაზე შეუწუხებია ვინმეს თავი, მოხევეების მთაში დასამკვიდრებლად ეკონომიკური ხელშეწყობის პროგრამა სიტყვიერად მაინც წარმოედგინა. ყაზბეგი ყოველგვარი შემოსევის გარეშე იცლება და ამ მთელი რეგიონისთვის უმნიშვნელოვანესი წერტილისადმი სახელმწიფოს უყურადღებობამ გამოუსწორებელ შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს.

სამწუხაროდ ოპოზიციაში არის ღირებულებითი კრიზისი, მერყევი დამოკიდებულება ფუნდამენტური ფასეულობების მიმართ. პროდასავლური თუ პრორუსული – ეს აქამდე სრულიად მკაფიო ცნებები ისე გაიდღაბნა პოლიტიკურ პალიტრაზე, რომ მკვეთრი ხაზის გავლება უკვე შეუძლებელი ხდება. წყალგამყოფი ბევრად უფრო დაზუსტდა და დაკონკრეტდა. ის დღეს გადის მხოლოდ ორ მარტივ არჩევანს შორის: სააკაშვილის შეცვლის ერთადერთ შესაძლებელ ფორმად მივიჩნევთ მხოლოდ და მხოლოდ არჩევნებს თუ ბრძოლის სხვა რომელიმე ფორმას. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ოპოზიციის ევროპულ არჩევანთან, მეორე შემთხვევაში კი ჩვენი კოლეგების ნაწილი თბილისში უხმობს უკვე დაქოქილ ტანკებს და ავიწყდება, რომ „თუ ნიანგმა ჩემი მტერი შეჭამა, ის მაინც ვერასოდეს გახდება ჩემი მეგობარი“.

მაგრამ, როგორც ჩანს, ბევრად ღრმა კრიზისია სახელისუფლებო პოლიტელიტაში. ნაციონალურ მოძრაობას და საკონსტიტუციო უმრავლესობას ღირებულებები საერთოდ არ გააჩნია! ამის თქმის უფლებას მაძლევს თქვენი პოლიტიკური გუნდის სამი საკვანძო ფიგურის ელვისებური ტრანსფორმაცია თქვენივე შეფასებით – ქვეყნის, ხალხის და, რაც ამ შემთხვევაში მთავარია, თქვენი პოლიტიკური კურსის მოღალატეებად – ნატოს კარიბჭესთან მდგომი დასავლური ღირებულებების აპოლოგეტებიდან წითელ მოედანზე რიგში დამდგარი, თქვენივე ჭარონილი „ჩეორების“ წინამძღოლებად. რა გარანტია გვაქვს, რომ ამდენი საკადრო შეცდომის დამშვები პრეზიდენტი კვლავ მოღალატეებით არაა გარშემორტყმული და ისინი, რომლებიც დღეს ლოჟასა და ამ დარბაზს ავსებენ, ხვალ კრემლის წითელ ხალიჩას არ გაუთელავენ? ძალაუფლებისთვის ბრძოლის აზარტმა არ უნდა დაგვავიწყოს ის, რის დავიწყებაც არ შეიძლება. ბოლო 20 წლის განმავლობაში განა ვის სჯიდა რუსეთი სეპარატიზმის წაქეზებითა და კონფლიქტების პროვოცირებით, რუსეთმა აგვისტოში დარტყმა არა სააკაშვილს, არამედ ყველა ჩვენგანს – ხალხს მიაყენა, რომელსაც თავისუფლების ნება გვაქვს. დღეს რუსული პოლიტიკისთვის სააკაშვილი მხოლოდ საბაბია. ასეთივე საბაბი იყო მისთვის ზვიად გამსახურდია, რომელმაც დამოუკიდებლობის გამოცხადება გაბედა. შევარდნაძე, რომელმაც უამრავი შეცდომის დაშვებასთან ერთად შეძლო და ნავთობსადენის გაყვანით ქვეყანას გეოპოლიტიკური ფუნქცია შესძინა, და ასეთივე საბაბი იქნება ყველა, ვინც, ავად თუ კარგად, დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრიობის იდეას განასახიერებს. ამ იდეის ერთგული დამცველია, უპირველეს ყოვლისა, ქართული არმია და ქართველი სამხედროები, რომელთა ნაწილებიც მალე ავღანეთში ურთულესი მისიის შესრულებას შეუდგებიან. ჩვენი ამოცანაა, მხოლოდ ქართველი ჯარისკაცებისა და ოფიცრების ვაჟკაცობა, თავდადება და პროფესიონალიზმი არ იყოს ერთადერთი, რის გამოც ცივილიზებული სამყაროსთვის, თუნდაც ნატოსთვის საქართველო ფასეული და საინტერესოა.

### დემოკრატია. სასამართლო. არჩევნები

**და აი, სწორედ აქ გვაქვს პრობლემა: როგორც კი იგრძნობთ ხოლმე ოდნავ დისკომფორტს, თქვენი ერთგული ოპრიჩნიკები უმალვე იწყებენ არსებულ პოლიტიკურ და სამართლებრივ სივრცეზე მარწუხების ბოლომდე მოჭერას.**

ძლიერი და ხალხის მხარდაჭერაში დარწმუნებული მთავრობისთვის არ უნდა არსებობდეს მტრული ტელევიზიები. ძლიერ მთავრობას არ სჭირდება კონტროლირებადი მედია, არ სჭირდება კონტროლირებადი სასამართლო. თქვენ ამაყობთ, რომ სასამართლო სისტემაში ქრთამს აღარ იღებენ და მოსამართლეები კვალიფიციურები არიან. ამას საზოგადოება ხედავს, რასაც გაეროს უკანასკნელი კვლევაც ადასტურებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სასამართლო გახდა სამართლიანი. მოთვინიერებული მოსამართლე ქრთამს აღარ იღებს და წერა-კითხვაც ისწავლა, მაგრამ მან ისიც ზედმიწევნით ისწავლა, როგორი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, რომ პოლიტელიტა არ განარისხოს. ჩვენი სასამართლოს სლოგანი მართლმსაჯულება კი არა – გამოგლოგა გახდა. თუ კარგად ასმენს ხელმძღვანელობას, მაშინ მოსამართლე ხელშეუხებელი ხდება. კანონი როგორც არ უნდა დაარღვიოს, მას არ გაწირავენ. მოსამართლეს დღეს ყველაზე მეტად ეშინია – მას ეშინია ზემდგომი მოსამართლის, ეშინია შინაგან საქმეთა სამინისტროსი, ეშინია პროკურატურის, ეშინია პარტიული ბოსების, მაგრამ ერთადერთი ვისიც მას ნამდვილად არ ეშინია, ეს არის ჩვენი მოქალაქეები.

მოთვინიერებულ მოსამართლეებს მოქალაქეთა საჩივრებისაგან სქელი ჯავშანი იცავს. 2007 წლის 4 ივლისს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად სისლისსამართლებრივი წესით აღარ არის დასჯადი მოსამართლის მიერ უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა. ამავე წლის 11 ივლისს კი განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის შესაბამისად კანონის მძიმე და უხეში დარღვევა უკვე აღარ წარმოადგენს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველს. ასეთი დარღვევებისთვის მთავარი სასჯელი დისციპლინურ პასუხისმგებლობაში უნდა ასახულიყო. ახლა ვნახოთ რამდენი მოსამართლე ისჯება დისციპლინური გადაცდომისთვის. სურათი კატასტროფულია: გასული წლის განმავლობაში, **მოქალაქეთა 1175 საჩივრის საფუძველზე მხოლოდ 22 საქმეზე მიეცნენ მოსამართლეები დისციპლინურ პასუხისგებაში, რაც საჩივრების 2%-საც არ შეადგენს!** უკვე მარტო ეს სტატისტიკა გამორიცხავს ქვეყანაში სამართლიანი სასამართლოს არსებობას. კანონის უზენაესობამდე ბევრი გვიკლია, მაგრამ ამას რომც მივაღწიოთ, თვითონ კანონია იმდენად არასამართლიანი და არაჰუმანური, რომ სამართლის უზენაესობაზე საერთოდ ოცნებაც კი შეუძლებელია. მესამე რაიხში და სტალინის საბჭოეთშიც არ იღებდნენ მოსამართლეები ქრთამს, კომპეტენტურებიც იყვნენ და კანონიც სრულდებოდა, მაგრამ იმ კანონში რა ეწერა – აი, ეს არის მთავარი!

**მესმის, ყველაფერს თავისი ფასი აქვს, მათ შორის უსაფრთხოებას და ქვეყნის თავისუფლების დაცვას... მაგრამ თქვენ უშვებთ ფუნდამენტურ შეცდომას, როცა ქვეყანას მოქალაქის დასუსტების ხარჯზე აძლიერებთ, ეს მხოლოდ მოჩვენებითი სიძლიერეა...**

მე ვახსენე არჩევნები, როგორც მთავარი წყალგამყოფი თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ სპექტრში. მხოლოდ და მხოლოდ არჩევნების კონტექსტში შეიძლება არსებობდეს ის, რასაც ჩვენ ვგულისხმობთ ხელისუფლების ნამდვილ სიძლიერეში. სწორედ თქვენ უნდა შეუწყოთ ხელი იმას, რომ არჩევნები იქცეს ხელისუფლების ცვლილების ერთადერთ ინსტრუმენტად და ამაში იქნება თქვენი სიძლიერე. დააღწიეთ თავი პარტიულ ტყვეობას, უარი თქვით ნაციონალურ მოძრაობაზე, ე. ი. პარტიულ კუთვნილებაზე, ნულარ იქნებით თქვენი საკონსტიტუციო უმრავლესობის მძევალი, გააუქმეთ ოპრიჩნინა, მოიშორეთ თქვენივე ავატარები, გახდით საქართველოს ყველა მოქალაქის და არა მხოლოდ ნაციონალების პრეზიდენტი, მიეცით სახელმწიფო უწყებებში, სკოლებში, პოლიციაში, ჯარში, სამინისტროებში დასაქმებულ ადამიანებს თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა... და გააკეთეთ ეს ახლა, თვითმმართველობის არჩევნებამდე. მეტიც ქვეყანას მშვიდობიანი სახელისუფლებო ტრანსფორმაციის შანსი... რომელიც იმავდროულად თქვენი მთავარი შანსია, რომ ისტორიაში კეთილი სიტყვებით მოგიხსენიონ. ასევე ეს გზაა ერთადერთი შანსი რუსეთის სრულ ალტერნატივად საქართველოს ჩამოყალიბების, შესაბამისად დეოკუპაციის პროცესის საერთაშორისო მხარდაჭერის და აფხაზებისა და ოსების ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში ინტეგრირების.

### ეკონომიკა... ბიუჯეტი... სოციალური... განათლება

**თქვენ ხმამაღლა აცხადებთ თქვენს ფერად ოცნებებს და თქვენი მთავრობა იმწამსვე იწყებს მათ ჩამოსხმას ახალ-ახალი ეკონომიკური ექსპერიმენტების ყალიბში. სახელმწიფო ვალი კი იზრდება, უმუშევრობა მატულობს, სოციალური ვითარება კატასტროფულად მძიმდება. ჩვენ არ ვიფარგლებით წარსულზე. ან თუნდაც დღევანდელობაზე საუბრით და გვაქვს წინადადება, რომელმაც ვითარება უნდა გამოასწოროს: მისცეს ბიძგი ადგილობრივი წარმოების განვითარებას, დაასაქმოს მეტი ადამიანი, დააგროვოს დოვლათი, საიდანაც ჩვენ შევძლებთ ჯანდაცვისა და განათლების, უსაფრთხოებისა და სოციალური პრობლემების უკეთესად მოგვარებას.**

დღეს კი სურათი ასეთია: საქართველოში სურსათის 80 პროცენტი იმპორტირებულია. შემოსულ უხარისხო პროდუქტს ქართული ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია კონკურენციას ვერ უწევს; სურსათის ხარისხის კონტროლის მექანიზმი მინიმუმზეა დასული; გენმოდიფიცირებული პროდუქცია აქეთ ჩვენი შვილების ჯანმრთელობას უმზადებს არასასიამოვნო სიურპრიზებს, იქით ტრადიციულ ჯიშებს ანადგურებს, ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ბაზარს ანგრევს და უცხო ბაზრებზე ეკოლოგიურად სუფთა ქართული პროდუქტის შეღწევისა და, შესაბამისად, ქართული სოფლის აღორძინების შანსებსაც მინიმუმადე ამცირებს. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ან როგორ უნდა გაუმკლავდეს კონკურენციას კახელი გლეხი, როცა ღია ეკონომიკური საზღვრების პირობებში მეზობელი სახელმწიფოდან ორჯერ უფრო იაფი საწვავით მოყვანილი პროდუქტი გადმოდის, მაშინ, როცა თავად მას საზღვარზე სამასი ლიტრი დიზელიც ვერ გადმოაქვს. თქვენ გიყვართ შევარდნაძის პერიოდთან პარალელების გავლება. შევარდნაძის დროს 650 ათასი ჰექტარი მიწა იხვნებოდა საქართველოში, ახლა სტატისტიკას თუ დავუჯერებთ, ორჯერ ნაკლები მუშავდება და უარესის პროგნოზირება არც თუ ისე რთული იქნება, თუ ჩვენს ქვეყანაში ყოვლად არაადეკვატურ საწვავის მაღალ ფასებს გავითვალისწინებთ. რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური დისკრიმინაციის მაგალითია მხოლოდ თბილისში პენსიის 10 ლარით მატება, ან მხოლოდ დედაქალაქის მასწავლებლებისთვის 100-ლარიანი ვაუჩერის გაცემა. თბილისში ასეთი ნაბიჯები მისასალმებელია, თუმცა ყოვლად მიუღებელია ჩვენი სხვა ქალაქებისა და სოფლების პენსიონერებისა და პედაგოგებისადმი განსხვავებული მიდგომა.

მთავრობა, ნაცვლად იმისა, რომ ქცეულიყო ბიზნესის პრობლემების შემამსუბუქებლად, თავად იქცა პრობლემად ბიზნესისთვის.

მე გუშინაც კი ბევრი თბილისელისა და არა მარტო თბილისელისთვის მერობის კანდიდატთან – გია ჭანტურიასთან ერთად მცირე ბიზნესის წარმომადგენელს ვესაუბრე დიდუბის სავაჭრო ცენტრში და კარგად ვიცი, რომ ჩახლართული რეგულაციები, მაღალი გადასახადები ძალიან ართულებს მეწარმის ცხოვრებას. თქვენი მთავრობა ბიზნესთან მიმართებაში გავს იმ მეპატრონეს, რომელიც მხოლოდ წველის ძროხას და ბალახის ჭამის საშუალებას კი არ აძლევს. სწორედ ეს ხდება ახლა, მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებული ადამიანების მნიშვნელოვანი ნაწილი ან გაკოტრდა, ან გაკოტრების პირასაა. გაიარეთ თბილისის ცენტრალურ ქუჩებში და ნახეთ, რამდენი აბრაა გამოკრული მაუწყებელი იმისა, რომ კომერციული ფართები ქირავდება, აღარაფერს ვამბობ მსხვილ სავაჭრო ცენტრებსა და სხვა ქალაქებზე.

იხ. 4 გვ.

# ხელისუფლება დამარცხდა, მაგრამ საქართველო არ დამარცხებულა!

(მესამე გვერდიდან)

**საპრეზიდენტო არჩევნებში პირადად თქვენი პირობა იყო „იაფი კრედიტის ბანკის“ დაარსება, რომლის პირველი ტრანშიც 300 მილიონი ლარით, ხოლო 25-წლიანი საკრედიტო განაკვეთი 4-5% პროცენტით უნდა განსაზღვრულიყო. დაპირებული მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი გარემოს ნაცვლად მივიღეთ იმდენად რთული და მოუქნელი საგადასახადო კოდექსი, რომ 3 ბუღალტერი მაინც გჭირდება საქმეს რომ თავი გაართვა.** ამას ემატება ომის, პოლიტიკური არასტაბილურობისა და ფინანსური კრიზისის გამო გაჩენილი პრობლემური საბანკო კრედიტები, საგადასახადო შეწერები, მასობრივი შემოწმებები... ასეთ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში არ შეიძლება ადმინისტრაციული წნეხის კიდევ უფრო გაძლიერება; განა დიდი ეკონომიური ფილოსოფიაა იმაში, რომ მოკლევადიანი შედეგის დევნაში ჩვენი მოსახლეობის ყველაზე უნარიან და ენერგიულ ნაწილს ბიზნესის არათუ განვითარების, შენარჩუნების შანსს ვუსპობთ. ეს არის თქვენი დასაქმების პოლიტიკა? ეს არის ლიბერალური გარემო? რეალობიდან გამომდინარე პასუხი კითხვაზე შემდეგია: თქვენ საქართველოში აშენებთ არაგეგმიური სოციალიზმისა და თავისუფალი კონკურენციის არმქონე კაპიტალიზმის სიმბიოზს.

– საჭიროა ეკონომიკური განათლების აქტიურად შეტანა მოსახლეობაში, ბიზნესინკუბატორების ძლიერი და მოქმედი ქსელის შექმნა: სტატისტიკით დღეს ახლადშექმნილი საწარმოების მხოლოდ 10-12 პროცენტი აგრძელებს არსებობას, ბიზნესინკუბატორის არსებობის შემთხვევაში კი ახალწამოწყებული ბიზნესის მინიმუმ 70 პროცენტი ქმედუნარიანია; საჭიროა ეკონომიკური გარდატეხის შეტანა, პირველ ეტაპზე მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერის სახელმწიფო პროგრამის თუნდაც 50 მილიონი ლარით დაფინანსება მნიშვნელოვანი გარღვევა იქნებოდა ეკონომიკური აქტივობისთვის. მკითხავთ, საიდან ეს თანხები? გეტყვით: საქართველოს მოქმედი ბიუჯეტიდან, წყაროსაც მიგითითებთ – თავდაცვა-შეიარაღებაზე 2010 წლის ბიუჯეტში გამოყოფილია 750 მილიონი ლარი, რაც მშპ-ს 3,9 პროცენტია. ქრისტიან-დემოკრატები გთავაზობთ, დავიყვანოთ შეიარაღების დაფინანსება ნატოს 3-პროცენტიან სტანდარტებზე და მივიღებთ 170 მილიონი ლარის ეკონომიას – რაც სრულიად საკმარისი თანხაა ბიზნესის სტიმულირებისა და ჩვენს მიერ შემოთავაზებული პროგრამების განსახორციელებლად. არადა, გვექნება იმაზე მძიმე სურათი, ვიდრე გვაქვს, როცა ამ წლის ბიუჯეტით – სახელმწიფო ვალი 8 809 მილიონი გახდება – რაც რეკორდული მაჩვენებელია და 2000 წლის მონაცემს, წარმატებული ქართული ბენდუნომიკის პირობებში, 2,1-ჯერ აღემატება.

– ამდენი წელი გვიმტკიცებდით, რომ წარმატებული განათლების რეფორმა გვქონდა. დღეს ყველა საერთაშორისო კვლევა გვეუბნება, რომ განათლების დონე მკვეთრად ეცემა და სასკოლო სისტემა კრიზისშია; 88 პროცენტი მოსწავლეებისა რეპეტიტორებთან დადის; 3300 სკოლიდან რეფორმის შედეგად 2200 შემორჩა; პირადად ვნახე ბავშვები 12 კილომეტრით დაშორებულ სკოლაში მგლების შიშით სასტვენებით როგორ დადიან. სამართლიანი იქნებოდა ამ რეფორმის ინიციატორი ბატონი ლომაია და სხვა მთავრობის წევრები ვატაროთ თუნდაც კეთილმოწყობილ ოფისებში 12 კილომეტრი ფეხით, თან ტყეში, რათა საკუთარ თავზე იწვნიონ, „წარმატებული“ განათლების რეფორმის სიკეთეები მგლებთან ერთად;

– დღეს გვეუბნებით, რომ თურმე სასწავლო პროგრამები უვიცის დაგეგმილი ყოფილა, გამოდის უვიცებისთვის ჩაგიბარებიათ ყველაზე საპასუხისმგებლო სფერო. განათლების სოციალური პოლიტიკა კვლავ სისტემის აქილევსის ქუსლია: სტუდენტების მაღალი გადასახადები, სახელმძღვანელოების მაღალი ფასები პრობლემად რჩება. ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას ნამდვილი ბრძოლა დასჭირდა იმისათვის, რომ წლევანდელი ბიუჯეტით უმწეოთა პროგრამაში მყოფი 57-ათას ქულიანი ოჯახების ყველა მოსწავლისთვის წიგნი სახელმწიფოს შექმნა. ჩვენი შეთანხმების შედეგი ყველაზე ღატაკი ოჯახების შვილებისთვის კარგია, მაგრამ არასაკმარისი. ალარაფერს ვამბობთ მასწავლებლების ხელფასებზე: დღეს მასწავლებლის საშუალო ხელფასი საქართველოში 170 ლარია, პოლიციელის მინიმალური ხელფასი კი 750 ლარი. ჩვენი კანონისა და წესრიგის დამცველებისადმი ქრისტიან-დემოკრატებს კიდევ უფრო მეტი გვემეტება, მაგრამ ეს შედარება ნათლად მეტყველებს პედაგოგისა და ძალოვანისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულების კონტრასტზე. მასწავლებლები ვერ დაელოდებიან, როდის გახდება მათი მინისტრი ვანო მერაბიშვილი, რომ განათლების სისტემის დაფინანსებისადმი მიდგომა პრინციპულად შეიცვალოს.

2003 წლისთვის საქართველო პირველ ადგილზე იყო ჩვენს სამეზობლოში ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავლის მიხედვით. **ამ მაჩვენებლით ის 29 პროცენტით უსწრებდა აზერბაიჯანს, და 49 პროცენტით სომხეთს. დღეს ჩვენ ბოლო ადგილზე ვართ ამ თვალსაზრისით. გაზისა და ელექტროენერგიის ტარიფი საქართველოში ყველაზე მაღალია ჩვენს სამეზობლოში, 2,5-ჯერ მეტია სომხეთზე, თითქმის ამდენით მოლდოვასა და უკრაინაზე. 7-ჯერ მეტია აზერბაიჯანზე, საქართველოს მოქალაქის ოჯახის ბიუჯეტში, კომუნალური მომსახურების ხარჯები ხშირად 50 პროცენტს აჭარბებს, ეს ჩამორჩენილი ქვეყნის მაჩვენებელია!** ეს ნიშნავს, რომ ამ ქვეყანაში საშუალო ფენის ჩამოყალიბების, შესაბამისად სტაბილური, მდგრადი დემოკრატიული განვითარების შანსი მინიმალურია, რადგან მშიერი ადამიანისთვის სხვა ღირებულებები უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე დემოკრატიაა..

ნაციონალები დღემდე ფიქრობთ და სხვებს არწმუნებთ, რომ მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ სიღარიბის დაძლევა. შეგახსენებთ რა უწოდეთ გეგმას, რომელიც თქვენმა პარტიამ შეიმუშავა საქართველოს ფეხზე დასაყენებლად? „საქართველო სიღარიბის გარეშე“.

უკაცრავად, მაგრამ ეს თქვენ არა ხართ, ვინც ღარიბი უფრო გააღარიბა და საზოგადოებას ზურგი აქცია?! ვინც უმუშევარი ახალგაზრდების რიცხვი გაზარდა, ვინც უთანასწორობა გააღრმავა?! ეს თქვენ არა ხართ იმ ქვეყნის მთავრობა, სადაც მოსახლეობის ერთი მეოთხედი ოფიციალურადაა სიღარიბის ზღვარს მიღმა, მეორე მეოთხედი კი ამ სამარცხვინო, მაგრამ ოჯახის გადასარჩენად აუცილებელი სტატუსის მისაღებად რიგს ელოდება?.. ეს თქვენ არა ხართ ხელისუფლება ქვეყანაში, სადაც სულ მცირე 1 200 ათასი ადამიანია დარჩენილი საარსებო მინიმუმის გარეშე, ეს თქვენი ეკონომიკის, უფრო სწორედ კი ბენდუმონიკის შედეგად არ განადგურდა ჩანასახის მდგომარეობაში მყოფი საშუალო ფენა, რომელიც დღეს მოსახლეობისს 4 პროცენტს არ აღემატება? ეს თქვენ არა ხართ ის ლიდერი, რომელმაც ძალაუფლებისთვის ბრძოლაში აქტიურად გამოიყენა პროფკავშირების, განსაკუთრებით კი პედაგოგთა პროფკავშირების რესურსი და დღეს კი სრულ იგნორირებას უკეთებთ დასაქმებულთა უფლებებს, რისი თვალსაჩინო მაგალითიცაა მოქმედი შრომის კოდექსი?

ასე რომ, ძალიან რთულია ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის, ისმინოს მთავრობის წარმომადგენელთა ლექციები სიღარიბის დაძლევასა და დასაქმებაზე. თქვენ ზურგი აქციეთ დემოკრატიულ ფასეულობებს, ანაცვალეთ რა მუდმივად მერყევ სტაბილურობას ადამიანების, სასამართლოს, ბიზნესის, მედიის დამოუკიდებლობა. ეს ნიშნავს იმას, რომ თქვენ დამარცხდით იმ პრინციპებთან, რომელმაც ხელისუფლებაში მოგიყვანათ. თქვენ დამარცხდით მტკვრისა და არაგვის შესართავთანაც და ქუთაისის მემორიალთანაც, თქვენ დამარცხდით ყველგან, სადაც გაისმოდა თქვენი ამალის ომახიანი ოვაციები. მაგრამ არ დამარცხებულა საქართველო, არ დამარცხებულა ქართველების სწრაფვა თავისუფლებისა და კეთილდღეობისკენ და ქრისტიან-დემოკრატები ვიბრძოლებთ მათთვისაც, ვისაც თქვენ იმედები ვერ გაუმართლეთ, ვიბრძოლებთ და გავიმარჯვებთ ყველგან, სადაც თქვენ დამარცხდით!

„შავსათვალიანი“ ოპოზიცია

# ღმრთისა და ერის წინაშე ვაცხადებ მზადყოფნას...

**დეპუტატ ჯონდი ბაღათურიას გამოსვლა პარლამენტის 26 თებერვლის სხდომაზე**



**თქვენო უწმინდესობავ! ბატონო პრეზიდენტო! ბატონო თავმჯდომარევ! პატივცემულო კოლეგებო! პატივცემულო საზოგადოებავ!**

ჩვენი დღევანდელი შეხვედრა მიმდინარეობს ქვეყნისთვის უმძიმეს ვითარებაში:

**დაკარგული ტერიტორიები და დაშლის პირას მდგომი ქვეყანა,**

**გართულებული საგარეო ურთიერთობები,**

**პატიმრებით გადავსებული ციხეები,**

**შელახული ადამიანის უფლებები,**

**პოლიტიზებული და ძალოვანი უწყებების დანამატად ქცეული სასამართლო,**

**უმძიმესი სოციალური ფონი,**

**შიმშილის პირას მისული მოსახლეობა,**

**გაჩანაგებული ეკონომიკა,**

**წართმეული საკუთრების უფლება,**

**სპეკულაციურად მაღალი ფასების გამო ახალგაზრდებისთვის დაკარგული განათლების უფლება.**

აქედან გამომდინარე დგება სახელმწიფოებრიობის დაკარგვის რეალური საფრთხე. ამიტომ გთავაზობთ კონკრეტულ გამოსავალს და მოგიწოდებთ, დაუყოვნებლივ დავიწყოთ კონსულტაციები ოთხი საფრთხის შემცველი პრობლემის დაუყოვნებლივ გადაჭრის მიზნით.

## 1. სოციალური კოლაფსის თავიდან აცილება

**მოსახლეობის უზრუნველყოფა საარსებო მინიმუმით. ამ მიზნით სახელმწიფომ უნდა დაიწყოს „ქართული დასის“ ორი კანონპროექტის განხორციელება:**

აძ მინიმალური პენსიის გაზრდა 150 ლარამდე, ანუ საარსებო მინიმუმამდე რეგიონებში და თბილისში ერთდროულად და თანაბრად (შეგახსენებთ, რომ ეს თქვენი წინასაარჩევნო დაპირებაც არის, ბატონო პრეზიდენტოძ;

ბძ ყველა პენსიონერის და ყველა სოციალურად დაუცველი მოქალაქის უზრუნველყოფა უფასო სამედიცინო დაზღვევის პოლისებით;

გძ ბედის ანაბრად მიტოვებული დევნილებისთვის თავშესაფრის მიცემა და მათთვის კუთვნილი კომპენსაციების დარიგება. სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით ბიუჯეტიდან, ნაცვლად წინასაარჩევნო ხარჯებისა, დასაქმების პროექტების დაფინანსება;

დძ დაგროვილი კომუნალური დავალიანების: გაზის, წყლისა და ელექტროენერგიის გადასახადის სრული ჩამოწერა.

## 2. საბოლოო გამიჯვნა ნულოვანი ტოლერანტობისგან

**რადგან სწორედ ნულოვანი ტოლერანტობის შედეგად მივიღეთ 22 ათასზე მეტი პატიმარი. ამათგან უამრავი უკანონოდ, მათ შორის პოლიტიკური ნიშნით გასამართლებული. ამიტომაც, ციხეები უფრო მეტი შენდება ვიდრე ფაბრიკა-ქარხნები, სკოლები და ბაღები.**

გამოსავალია სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია: ფართომასშტაბიანი და რეალური ამნისტია, შეკრებითობის პრინციპის გაუქმება უკუქმედების ძალით, პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების ვადების შემცირება.

## 3. ეკონომიკა

**ქვეყანაში საკუთრების უფლების აღდგენა, რისი განხორციელებაც უნდა დაიწყოს უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნებით. მასშტაბური და სრულფასოვანი ფინანსური ანუ საგადასახადო ამნისტია, გადასახადების შემცირება და საგადასახადო პროცედურების გამარტივება, მცირე მეწარმეებისათვის ფიქსირებული გადასახადის დაწესება, სოფლის მეურნეობის პროდუქციისთვის დაკარგული საგარეო ბაზრის დაბრუნება.**

## 4. საგარეო ურთიერთობა

**საერთაშორისო ასპარეზზე დაშვებული სტრატეგიული შეცდომების გამოსწორება. პირველ რიგში კონფრონტაციული, გამაღიზიანებელი ტონალობის შეცვლა, რომელიც განსაკუთრებით შესამჩნევია ისეთ ქვეყნებთან ურთიერთობაში, როგორიცაა საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი და უკრაინა.** არარეალისტური და ხშირ შემთხვევაში ემოციური პოლიტიკის ნაცვლად მკაცრად რეალისტური, ფრთხილი და რაციონალური გადაწყვეტილებების მიღება. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფოებს შორის პირდაპირი ურთიერთობების აღდგენა, რაც ქვეყანას მისცემს საერთაშორისო ასპარეზზე წარმატების პერსპექტივას და ქვეყნის შიგნით ზღვარს დაუდებს სპეკულაციას. აქვე მინდა დავგმო სამარცხვინო, შეურაცხმყოფელი და ცილისმწამებლური გადაცემები რუსეთის პატრიარქზე. ასეთი გადაცემებით ხომ არა მარტო რუს ხალხს, არამედ ყველა მართლმადიდებელს ვაყენებთ შეურაცხყოფას და რუსულ საზოგადოებას განვაწყობთ საქართველოს წინააღმდეგ, რითაც ხელ-ფეხს ვუხსნით იმ წრეებს, რომლებსაც აგრესიული ანტიქართული განწყობა აქვთ.

**თქვენო უწმინდესობავ! ბატონო პრეზიდენტო! პატივცემულო საზოგადოებავ!**

ამ გამოსვლის სიმწვავის მიზანი არის არა ნიშნის მოგება, ან ხელისუფლების კრიტიკა, არამედ სახელმწიფოს გადარჩენის სურვილი. პოლიტიკური გაერთიანება „ქართული დასის“ სახელით, ღმრთისა და ერის წინაშე ვაცხადებ მზადყოფნას, დავიცვათ ეკლესიისა და სამშობლოს ერთიანობა. დავიცვათ თითოეული ქართველი, ნებისმიერი რისკის ფასად.

ინფორმაცია

## ჯერ არ აუშენებიათ და ჩამოინგრა

**გუშინ** ალმაშენებლის ხეივანში გვიან ღამით მშენებარე სავაჭრო ცენტრის შენობა ჩამოინგრა.

ინციდენტის შედეგად ორი მუშა დაშავდა. ნგრევა მაშინ მოხდა, როცა მუშები შენობის მესამე სართულზე ბეტონის საფარს ასხამდნენ.

26 წლის გოჩა კუპრაშვილი რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული. მას ტრავმები თავისა და გულმკერდის არეში აქვს მიყენებული.

27 წლის ალექსანდრე ტოკლიკიშვილმა კი მსუბუქი დაზიანებები მიიღო და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ორივე მათგანი ღუდუშაურის სახელობის კლინიკაშია გადაყვანილი.

სავაჭრო ცენტრის ნგრევის მიზეზები ჯერჯერობით უცნობია. სამშენებლო სამუშაოებს კომპანია „ელკაინი“ აწარმოებდა. მომხდარზე დაწყებულია გამოძიება.

ჯი-ეიჩ-ენი

სრულიად გულახდილად და პრინციპულად

# გუბაზ სანიკიძე: ქვეყანა წალეკეს ხელისუფლებიდან გამოქცეულმა პოლიტიკურმა კუდელებმა

## საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების გარეშე არავითარ არჩევნებს აზრი არა აქვს!

***გაზაფხულზე**, ალბათ, არაერთი პოლიტიკური ძალა დასამარდება, არჩევნების შემდეგაც და იქამდეც — ზოგს ხალხი არ მისცემს ნდობის მანდატს, ზოგიერთი კი თავად გამოუტანს საკუთარ თავს პოლიტიკურ განაჩენს. რომელი ლიდერები დაკარგავენ ლიდერობას, ამაზე საუბარს უკვე თავად ოპოზიციაშიც აღარ გაურბიან. „ჯი-ეიჩ-ენთან" საუბარში „ეროვნული ფორუმის" ერთ-ერთი ლიდერი **გუბაზ სანიკიძე** პირდაპირ აკეთებს მინიშნებას, რომ პარლამენტიდან კარგა ხნის წინათ ქუჩაში გადანაცვლებული ძიძიგური-კუკავა-დავითაშვილის ტრიადისთვის, შესაძლოა, ადგილი ქუჩაშიც აღარ აღმოჩნდეს, რისი მიზეზიც მათ საკუთარ ბოლოდროინდელ გადაწყვეტილებებში უნდა ეძებონ. სანიკიძე მიიჩნევს, რომ ოპოზიციას ხელისუფლებაზე ერთი უპირატესობა ჰქონდა — ზნეობრივი და ისიც დაკარგა...*




**— ბატონო გუბაზ, ცნობილია, რომ „ეროვნული ფორუმი" ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს ბოიკოტს უცხადებს. როგორ ფიქრობთ, იმ კონტექსტში, როცა არჩევნები პოლიტიკური ბრძოლის კლასიკური მეთოდია, გარკვეული ოპოზიციური ძალების თამაშგარეთ ყოფნა ხელისუფლების პოზიციას ხომ არ ამყარებს?**

— გეთანხმებით, რომ არჩევნები პოლიტიკური ბრძოლის ერთადერთი მეთოდია, მაგრამ ეს ხომ არჩევნები არ არის. ეს არის ფსევდოარჩევნები, არჩევნების პროვოკაცია, არჩევნების იმიტაცია.

ჩვენ სამი არგუმენტი გვაქვს იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ ვმონაწილეობთ ამ არჩევნებში. პირველი ის არის, რომ ქვეყანაში რეალური თვითმმართველობა არ არსებობს (საერთოდ, თუ ვინმეს აინტერესებს, დემოკრატია ორ რამეზე დგას — თავისუფალ სასამართლოზე და თვითმმართველობაზე. თვითმმართველობა რა არის? — თვითმმართველ ერთეულს ჰქონდეს საკუთარი ბიუჯეტი. ჩვენთან არ აქვს. ამიტომ, თეორიულად დავუშვათ და, ქალაქის მერი ოპოზიციონერიც რომ გახდეს, მას მხოლოდ ორი გამოსავალი ექნება — ან ისევ ქუჩაში გავიდეს, რადგან ხელისუფლება არ მისცემს ფულს, რომ ელემენტარულად ქალაქიდან ნაგავი გაიტანოს, ან შეეკრას ხელისუფლებას და გადავიდეს მის მხარეზე), მეორე — ვერც ერთ პრობლემას, რაც საქართველოს აქვს: ქვეყნის დაშლა, ეკონომიკის მოშლა, ზნეობის დაცემა, დემოკრატიული პრობლემები, თვითმმართველობის არჩევნები ვერ აგვარებს (თვითმმართველობა არის მოწესრიგებული ცხოვრება ამა თუ იმ ერთეულში, მეტი არაფერი. აფხაზეთი, ცხინვალი, საგარეო ორიენტირი, ეკონომიკის სფეროს ფეხზე დაყენება კი თვითმმართველობის პრეროგატივა და კომპეტენცია) და მესამე მიზეზი — არჩევნები უკვე გაყალბებულია.

ხელისუფლებას ამომრჩეველთა სიებში ერთი მილიონი კაცი ჰყავს გაფორმებული. დიდი აჟიოტაჟი იყო ატეხილი, ოპოზიციური პარტიების წევრები გამოცხვივდნენ და სიების გადამოწმების სურვილი გამოთქვეს. გადაამოწმეს, მაგრამ რამეს მიაგნეს? ვერაფერს და ვერც მიაგნებენ, რადგან ოჯახში, სადაც 15 კაცია მიწერილი, იმ 15 კაცის მიწერა დარღვევად მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქნას ჩათვლილი, თუკი ბინის მესაკუთრე იტყვის, რომ ის 15 კაცი ძალით ჩაუწერა „ნაცმოძრაობამ". არავინ ამას არ იტყვის, რადგან ასეთი ხალხი ჩაწერილი ჰყავთ თავიანთი მომხრეების ბინებში. ამიტომ, თუ დავაკვირდებით, ამ რამდენიმე კვირის განმავლობაში, რაც სიების გადამოწმება მიმდინარეობს, მხოლოდ ერთადერთი უზუსტობა იყო, თუ არ ვცდები, სანზონაში აღმოჩენილი და ისიც სათავისოდ გადაწყვიტა ხელისუფლებამ. აქედან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, ამ ერთ მილიონ ხმას ოპოზიცია ვერ „ამოყრის".

ჩვენ მათ შევთავაზეთ წინადადება, რომ დაგვეწყო საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის ბრძოლა, რაც ასე აუცილებელია იმისთვის, რომ არჩევნები არ გაყალბდეს. პრობლემა რა არის ქვეყანაში? — სიყალბე, ანუ გაყალბებული არჩევნები. უნდა გვესმოდეს, რომ ხელისუფლება გაყალბებული არჩევნებით არ იცვლება და არც შეიცვლება. ოპოზიციის არგუმენტი კი, რომ მსოფლიოს ვაჩვენოთ, როგორ გააყალბებს სააკაშვილი კიდევ ერთ არჩევნებს, ერთობ უხერხულია. ეს იმას ჰგავს, თავს რომ გაალახინებ ძალით ვინმეს, თან ისე, რომ მაყურებლები წინასწარ გყავს დაქირავებული იმის საცქერად, თუ როგორ დაგასისხლიანებენ.

ჩვენ უნდა დავიწყოთ ბრძოლა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის. ხშირად საუბრობენ „სოლიდარობაზე", მაგრამ ყველა გაურბის გამსახურდიას გამოცდილებას. საუკეთესო გამოცდილება ჩვენთვის სწორედ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსულა — შექმნა საარჩევნო გარემო, აიძულა „კომპარტია" და 6 თვით ადრე მოიგო არჩევნები.

ნიჰილიზმის მთავარი განმსაზღვრელი რა არის? — ის, რომ ამჯერ არჩევნებით ვერ მოუგებ და სწორედ ამიტომ, რაც არის პრობლემა, იმისთვის უნდა ვიბრძოლოთ. ისეთი რაღაცები უნდა შევთავაზოთ ხელისუფლებას და საერთაშორისო ორგანიზაციებსაც, რომ მართალი ვიყოთ. როცა ამბობ, რომ ბარიერი 50 %-იანი უნდა იყოს და არა, როგორც ხელისუფლება ითხოვს 30 %, ეს ბიბლიაში წერია? ეს არის სუბიექტური მიდგომა. ის უცხოელი აუცილებლად გეტყვის, ზოგან 30 %-ია, ზოგან 50 % და ზოგან საერთოდ არააო!..

**— ანუ, „ეროვნულმა ფორუმმა" საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ოპოზიციას ერთიანი ბრძოლა შესთავაზა და ის ამაზე არ წამოვიდა?**

— სხვათა შორის, წამოგვყვა. პირიქით არის საქმე. იმ 4-პუნქტიან დოკუმენტზე, რომელიც ჩვენ შევთავაზეთ, ყველამ მოგვიწერა ხელი. ღრმა კინკლაობაში შესვლას არავისთან ვაპირებთ, რადგან ეს ხელისუფლების წისქვილზე მიუშვებს წყალს, თან ოპოზიცია ახლა იმდენად დანაწევრებულია, რომ ძნელია თავი მოუყარო, ამიტომ ყველასთვის მისაღები ერთადერთი ფორმულა, მათთვისაც ვინც არჩევნებში მონაწილეობს, და მათთვისაც, ვინც მას ბოიკოტს უცხადებს, ესაა ბრძოლა საარჩევნო გარემოსთვის. ამისთვის უნდა გამოვიყვანოთ ხალხი ქუჩაში და დანარჩენ მსოფლიოსაც დავანახვოთ, რომ დემოკრატიისთვის ვიბრძვით — გვინდა წესიერი არჩევნები. მით უმეტეს, ამის მასტიმულირებელია მეზობელ უკრაინაში ჩატარებული არჩევნები. თუ მათ მოახერხეს დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, ჩვენ რატომ ვერ ვახერხებთ?

**— ამ კონტექსტში, რამდენად მოსალოდნელია, რომ „ეროვნულმა ფორუმმა" არსებული ხელისუფლების პირობებში არც ერთ მომავალ არჩევნებში არ მიიღოს მონაწილეობა?**

— ასეთ პირობებში არჩევნებში მონაწილეობას ნამდვილად არ აქვს აზრი. წინასწარ გეტყვით რაც მოხდება: ხელისუფლება მოიგებს თვითმმართველობის არჩევნებს, მათ შორის თბილისშიც, რომელიც ოპოზიციურ ქალაქად ითვლებოდა და ოპოზიციის სიბრიყვის გამო მას ჩვენ ვკარგავთ! მთელ მსოფლიოსაც დაანახვებს, რომ გაუყალბებლად მოიგო. ხელისუფლება არ გააყალბებს 30 მაისის არჩევნებს — უკვე გაყალბებული აქვს და არ სჭირდება. ცოტა ხნის შემდეგ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს გამოაცხადებს და იმაშიც გაიმარჯვებს.

**— თქვენ თქვით, რომ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის ერთიანი ბრძოლის შეთავაზებაზე ოპოზიცია წამოვიდა და შესაბამის დოკუმენტს ხელიც მოაწერა. საინტერესოა, მაშინ რატომ დარჩა თქვენი ეს შეთანხმება მხოლოდ ფურცელზე?**

— უბრალოდ, პიარტექნოლოგიის საკითხია, სხვა პროცესები განვითარდა — ალიანსის დაშლა, შეკრების ჩატარება.... ჩვენ ამ საკითხს აუცილებლად წამოვწევთ და ამ დღეებში მას კიდევ ერთხელ შევთავაზებთ ჩვენს კოლეგებს.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ არის არეულობა ოპოზიციაში მაშინ, როცა არჩევნებამდე მხოლოდ 3 თვე დარჩა და თბილისის მერობის სახელისუფლებო კანდიდატი გიგი უგულავა წინასაარჩევნო მარათონში აქტიურადაა ჩართული? თქვენი აზრით, ვინ შეიტანა არეულობა არასაპარლამენტო უმცირესობაში?**

— არეულობის მაპროვოცირებელი იყო ირაკლი ალასანიას გასვლა ალიანსიდან. რამდენიც არ უნდა იძახონ არ გასულა, ნახევრად გასულია, ერთი მესამედით უკან გადადგა ნაბიჯი და მერე ისევ ცოტა წინ წაიწევსო, ეს ხალხისთვის გაუგებარია. რა თქმა უნდა, ოპოზიციაში არეულობა ალასანიამ შეიტანა.

**— ექსპერტები ამ კუთხით ნოღაიდელის ფიგურაზეც ამახვილებენ ყურადღებას... ყოფილი პრემიერის „დამსახურებაზე" თქვენ რას ფიქრობთ?**

— რამდენიც არ უნდა იძახონ, ოპოზიციაში არეულობის შეტანა ნოღაიდელს არ უკავშირდებაო, რა თქმა უნდა, და მე ასეთი შეკითხვა მაქვს ჩემს მეგობრებთან, რომლებიც ახლა მასთან არიან: როცა აპრილის აქციები იგეგმებოდა და ჩვენი ინიციატივით უარი ვუთხარით ნოღაიდელს იმ ერთობაში შემოსვლაზე, რომელსაც 9 აპრილის კომიტეტი ერქვა და მას მხარი, სხვათა შორის, „კონსერვატორებმაც" დაუჭირეს და „ხალხის პარტიამაც", რა შეიცვალა მას შემდეგ? რა ხიბლი დაინახეს ნოღაიდელში, რომელი ივანე მარუშისძე ან ქუჯი ერისთავი ამოიცნეს? რა იციან ნოღაიდელის შესახებ? მეც მითხრან, იქნებ მეც გადავიდე მისკენ. მითხრან რა!

**— რაც შეეხება ალასანიას ალიანსიდან გამიჯვნას. თქვენი აზრით, რატომ მიიღო ალასანიამ წინასაარჩევნო პარტნიორების გამოცვლის გადაწყვეტილება და ნოღაიდელის მოძრაობასთან, „კონსერვატორებთან" და „ხალხის პარტიასთან" გადანაცვლება ამჯობინა მაშინ, როცა მას, როგორც თბილისის მერობის კანდიდატს „მემარჯვენეების", „რესპუბლიკელებისა" და სალომე ზურაბიშვილის „საქართველოს გზის" სახით სამი პარტიის მხარდაჭერა ისედაც ჰქონდა? ნაკლებსავარაუდოა, რომ ალასანიაც ნოღაიდელის ფულებით მოხიბლულიყო...**

— მერწმუნეთ, დამიჯერეთ, ესეც გამოცანაა ჩემთვის. ვარიანტიც არ მაქვს, მაგრამ ერთი რამ ვიცი, რომ სერიოზულ გაუგებრობაშია. დიდი მახე დაუგეს და ჭენებ-ჭენებით შევარდა ამ მახეში.

**— ანუ, ფიქრობთ, რომ ალასანიას მახე დაუგეს და ის დაქსაქსულობა, რაც ალასანიას გადაწყვეტილებამ გამოიწვია ოპოზიციაში, ვიღაცას ხელს აძლევს? ვის?**

— მახეა აბა რა არის. ალასანიას თავის გარშემო უნდა შემოეკრიბა ხალხი და პოლიტიკური პარტიები. ეს პროცესი დაწყებული ჰქონდა და სათანადო რესურსიც გააჩნდა, თუმცა უცებ თავისი პოლიტიკური ბანაკი გააუქმა და ნოღაიდელის ბანაკში გადავიდა. ახლა, რამდენიც არ უნდა იძახოს, ნოღაიდელთან ურთიერთობა არ მაქვსო, აბა ამას რა ჰქვია?... სასწაულები ხდება ჩემს სამშობლოში. მე რომ მარტივი ჭეშმარიტება მეგონა, ის თურმე საერთოდ არ არის ჭეშმარიტება, მით უმეტეს მარტივი. ქართველები მრუდე ლოგიკით ვცხოვრობთ — ყველაფრის გამართლება შეგვიძლია. სამწუხაროდ, ალიანსი დაიშალა, რაც „ფორუმის" ინტერესებში არ შედიოდა, იმიტომ, რომ იყო ძლიერი პარტნიორი. ჩვენ კი სწორედ ძლიერი პარტნიორებით ვართ დაინტერესებულნი.

**— ბატონო გუბაზ, რამდენად გამორიცხავთ, რომ ლევან გაჩეჩილაძემ და ირაკლი ალასანიამ ორივემ იყაროს კენჭი თბილისის მერის არჩევნებში? სხვათა შორის, ალასანია დღემდე ამტკიცებს, რომ საკუთარი კანდიდატურის მოხსნას არ აპირებს და ჟურნალისტებთან საუბრისას ისიც კი აღნიშნა, მზად ვარ, ლევან გაჩეჩილაძესაც დავუპირისპირდეო. ალბათ, რაღაც ამბიციები გაჩეჩილაძეს ექნება და კონსულტაციებში მხოლოდ სხვისი კანდიდატურის ლობისტად არ მონაწილეობს...**

— არაფერია გამორიცხული. სიტყვას საქართველოში ფასი უკვე აღარ აქვს. ხვალ შეიძლება ალასანიამ ან გაჩეჩილაძემ ისეთი ხუჭპაურობა გაამგზავრონ, რომ არ მოვიაზრო. ამ ყველაფრის მერე ენაზე სიცრუე ჭკვის. საქართველოში სიცრუეა გამოფხიზლული. საქართველო სიცრუის იმპერიაა. ყველა საზოგადოებას ატყუებს და იცით რატომ? ადვილად ტყუვდება.

ეს პოლიტიკური ელიტა მიზეზი კი არა, შედეგია. ჩვენ ჩვენი საზოგადოების პირმშოები ვართ. სააკაშვილიც პირმშოა ქართული საზოგადოების. ქართველი სულ უსვამს შეკითხვას სხვებს. წლები, ათწლეულები გაივლის და საკუთარ თავს ერთხელ არ შეეკითხება, თავად ხომ არ შემცდარა, როცა 2004 წელს ენაგადმოგდებული გავარდა და სააკაშვილს მისცა ხმა. ხშირად გაიგებთ ქართველისგან შემდეგ ფრაზებსაც: „არ ვიცოდი", „არ მეგონა", „რომ მცოდნოდა"... დებილები ხომ არ ვართ? ტელევიზორში 5 წუთი შევხედავ სააკაშვილისთვის და თუ ჭკუა გვქონდა თავში, დავინახავდით, რომ ის, როგორც პრეზიდენტი, არ ივარგებდა.

**— თქვენ ახსენეთ, რომ ოპოზიცია ღრმა კრიზისშია. გამოსავალს რაში ხედავთ?**

— კრიზისიდან უნდა გამოვიდნენ, მაგრამ ვიღაცა გამოვა, ვიღაცა ვერა. ამ გაზაფხულზე ოპოზიციის ერთი ნაწილი დასამარდება და ეს იქნება დიდი წარმატება ამ ქვეყნისთვის.

**— რომელ ძალებს უწინასწარმეტყველებთ პოლიტიკურ დასამარებას?**

— ყოველ შემთხვევაში „ფორუმს" არა. ეს უნდათ, მაგრამ ამას ვერ მოესწრებიან.

**— ანუ, საბოლოო ჯამში, ფიქრობთ, რომ რაც არ უნდა ძლიერი კანდიდატი ჰყავდეს თბილისის მერის არჩევნებში ოპოზიციას, მასში მონაწილეობა მაინც წაგებულ ომში ბრძოლას ნიშნავს?**

— ძლიერი კანდიდატი კი არა, დავით აღმაშენებელმაც რომ იყაროს კენჭი, მაინც მე-8 ადგილზე გავა. ასე იქნება ეს და მარტო იმიტომ არა, რომ არჩევნები უკვე გაყალბებულია. ქართველები ახლა დავით აღმაშენებელს ხმას არ მისცემენ — მისცემენ გია ჭანტურიას, იმიტომ რომ ფული აქვს. ასეთი ხალხი ვართ ჩვენ — ნაცარქექიები ვართ.

ქართველის ფსიქოტიპები ვინ არიან? ავთანდილი და ნაცარქექია — ორივე ნიჭიერია, ორივე ჭკვიანია, ორივე ეშმაკია, მაგრამ მათ შორის ერთი დიდი განმასხვავებელი ნიშანია — ავთანდილს ღირსება აქვს და დიდი იდეალებისთვის იბრძვის, ნაცარქექიას კი არანაირი ღირსება არ გააჩნია. ჩვენმა ხალხმა, 4-მა მილიონმა კაცმა ნაცარქექიობის გზა აირჩია და იმ გზაზე დახვდათ ნოღაიდელი, კიწმარიშვილი, სააკაშვილი, რაც ბუნებრივია, როცა ნაცარქექიობის გზაზე დგახარ... სხვა გზა, მეორე, ავთანდილობის გზა, რთულია ჩვენი საზოგადოებისთვის, იმიტომ რომ ნაცარქექიაში ხედავს თავის თავს. სააკაშვილი რატომ აირჩიეს პრეზიდენტად იცით? ბევრმა მასში თავისი თავი დაინახა — ბევრი ისე მეტყველებს, ისე იცინის, ისე ჭამს, როგორც სააკაშვილი...

**— ბატონო გუბაზ, და იმ ყველაფრის შემდეგ, რა შეხედულებაც თქვენ გაქვთ არსებულ ოპოზიციაზე და როგორც გააქილიკეთ კოლეგა ოპოზიციონერები, მაინც აპირებთ პოლიტიკური ძალებისთვის საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული თქვენი პარტიისეული გეგმის კიდევ ერთხელ შეთავაზებას?**

— კი შევთავაზებთ. კრიტიკასა და ლანძღვა-გინებას შორის დიდი სხვაობაა, თუმცა ნოღაიდელს ჩვენ არაფერს ვთავაზობთ. არსებობს ასეთი პირობა — ნოღაიდელი არა. თუ ნოღაიდელი უნდათ და „ფორუმთან" ურთიერთობა არ უნდათ, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ და სადაც აღმოჩნდებიან 2-3 თვეში, მაგასაც ვნახავთ — დიდ გაუგებრობაში.

**— დაბოლოს, საგარეო პოლიტიკური ვითარების კუთხით რა მდგომარეობაშია ქვეყანა? ამ მიმართულებით მაინც თუ შეგვიძლია მშვიდად ყოფნა?**

— უმძიმეს მდგომარეობაში ვართ, ფაქტობრივად, იზოლაციაშია ქვეყანა. საერთოდ, საგარეო პოლიტიკა არის საშინაო პოლიტიკის გაგრძელება და ეს ჩემი მოგონილი არ არის. ქართველი ერი, როგორც ისტორიული სუბიექტი, და საქართველო, როგორც პოლიტიკური სუბიექტი, არ არსებობს. ჩვენ ვართ ტერიტორია და ამ ტერიტორიაზე დასახლებული მოსახლეობა. ჩვენ ერი არ ვართ და ამას ნუ დავივიწყებთ.

ესაუბრა
**ლელა ბაღდავაძე**

განმარტება

# ვალდებულებას ვკისრულობთ, ხელი შევუწყოთ გაუყალბებელი არჩევნების დამკვიდრებას

**ზოგადად, არჩევნები არის ხალხის კანონიერი უფლება, მონაწილეობა მიიღოს ისეთი ხელისუფლების არჩევის პროცესში, რომელიც თითოეული მოქალაქის მიერ თავისი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების განხორციელებას ხელს არ შეუშლის და თითოეული მათგანის მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ თავისუფლებებს ნებისმიერი უკანონო ხელყოფისგან დაიცავს.**

თუ ხელისუფლება არ უზრუნველყოფს და არ იცავს მოქალაქეთა ზემოაღნიშნულ უფლებებს, მათ უფლება აქვთ, შეცვალონ არსებული ხელისუფლება და აირჩიონ ახალი ხელისუფლება თავისუფალი, სამართლიანი და გაუყალბებელი არჩევნების გზით. ამრიგად, თავისუფალი, სამართლიანი და გაუყალბებელი არჩევნები არის თითოეული მოქალაქის უმთავრესი პოლიტიკური უფლება ხელისუფლების მიმართ, რაც ხელისუფლებას ვალდებულებას აკისრებს, არ ჩაერიოს თავისუფალი, სამართლიანი და გაუყალბებელი არჩევნების ჩატარების პროცესში.

ადგილობრივ არჩევნებს შესაბამის ქალაქში, დაბაში, სოფელში, ქალაქის რაიონში, საარჩევნო უბანში მცხოვრები თითოეული მოქალაქისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს. ადგილობრივი არჩევნების შედეგზე ორიენტირებული მიზანია შესაბამის ტერიტორიულ სივრცეში არსებული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ხასიათის პრობლემების გამო გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი უშუალო მონაწილეობა, ანუ საცხოვრებელ უბნებში მოქალაქეთა თვითმმართველობის, ანუ ავტონომიური მართვის უზრუნველყოფა. ადგილობრივი თვითმმართველობა, ანუ ავტონომიური მმართველობა არის უშუალო დემოკრატიის უმთავრესი ფორმა.

1992 წლიდან დაწყებული, ხელისუფლების მიერ ყველა სახის და დონის, მათ შორის, ადგილობრივი არჩევნების გაყალბებამ მიიღო უკურნებელი სენის სახე, რის შედეგად ხალხი სრულიად გამოითიშა ეკონომიკური, მოქალაქეობრივი, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური მდგომარეობის დამოუკიდებლად გაუმჯობესების პროცესიდან, ანუ იქცა ხელისუფლების წყალობის მომლოდინე მასად, რის გამოც ის მონობასთან გათანაბრებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ბოლოს ამას დაემატა სამხედრო ავანტიურა, რამაც ზემოაღნიშნულთან ერთად სახელმწიფოებრიობის და, მთლიანად ქართველი ერის არსებობა რეალური საფრთხის წინაშე დააყენა.

ზემოაღნიშნულმა საფრთხეებმა, ქართული საზოგადოების წინაშე გადარჩენის გზის მოძიების პრობლემა ობიექტურად დააყენა. ასეთ პირობებში და ამ ეტაპზე, 8 ქალაქის მერის და საკრებულოების ერთიანი კანდიდატის გამოვლენის მიზნით წინასწარი არჩევნების (პრაიმერისძ ჩატარების შესახებ რიგი ოპოზიციური პარტიების გადაწყვეტილება, ერის სულიერი კონსოლიდაციის და ფიზიკური ხსნის, დემოკრატიული ფასეულობების, სახელმწიფოებრიობის გაძლიერებისა და საარჩევნო კულტურის ჩვეულებით ნორმად ქცევის დამკვიდრების, და რაც მთავარია, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, თანდათანობითი, ცივილიზებული და მშვიდობიანი გზა არის.

ეს ქალაქებია: თბილისი, გორი, რუსთავი, თელავი, ფოთი, ბათუმი, ქუთაისი, ზუგდიდი.

სწორედ ამიტომ, ჩვენ, ღვაწლმოსილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე **პროფ. ოთარ გამყრელიძე,** ავტორიტეტული **ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი** და მე **პროფ. ბიძინა სავანელი,** დავთანხმდით შემოთავაზებულ წინადადებას, როგორც დამოუკიდებელი, თავისუფალი და მიუკერძოებელი პირები, სათავეში ჩავდგომოდით წინასწარი არჩევნების (პრაიმერისძ მთავარ საარჩევნო კომისიას.

გაცნობებთ, რომ წინასწარი არჩევნების (პრაიმერისძ გზით ერთიანი კანდიდატის გამოვლენა ხუთი ეტაპისგან შედგება.

**პირველი ეტაპი** მოიცავს წინასწარი არჩევნების (პრაიმერისძ პროცედურის ჩატარებამდე რვა ქალაქში ერთ კანდიდატზე პარტიებს შორის კონსენსუსის მიღწევას, რაშიც ჩვენ, პარტიული კუთვნილებიდან თავისუფალ სამ პირს, შეგვიძლია შუამავლის ან/და მომრიგებლის როლი შევასრულოთ (მორიგება პარტიებს შორის შეიძლება შედგეს ნაცვალგების პრინციპის დაცვითძ.

**მეორე ეტაპი** მოიცავს წინასწარი არჩევნების ჩატარებას იმ ქალაქში, რომლის გამო ერთ კანდიდატზე პარტიებს შორის კონსენსუსი ვერ შედგა, რაშიც ჩვენ, პარტიული კუთვნილებიდან თავისუფალი სამი პირი, კოორდინატორის ფუნქციას შევასრულებთ.

**მესამე ეტაპი** მოიცავს წინასწარი არჩევნების ჩატარების პროცესში (პრაიმერისძ საჩივრების განხილვას და გადაწყვეტილების მიღებას, რაშიც ჩვენ, პარტიული კუთვნილებიდან თავისუფალი სამი პირი, დამოუკიდებელი, თავისუფალი და მიუკერძოებელი მოსამართლეების ფუნქციას შევასრულებთ.

**მეოთხე ეტაპი** მოიცავს წინასწარი არჩევნების მთავარი კომისიის სხვა პარტიულ წევრებთან ერთად წინასწარი არჩევნების შედეგების შეჯამებას და დამტკიცებას.

**მეხუთე ეტაპი** გულისხმობს გამარჯვებული კანდიტატების მცირე ინაუგურაციას, რომელიც მოიცავს წაგებული კანდიდატების მიერ გამარჯვებულთა მილოცვის პროცედურას.

**რაც შეეხება სოციოლოგიურ გამოკითხვას.** ზოგადად, სოციოლოგიური გამოკითხვის გზით ერთიანი კანდიდატურის გამოვლენის პრინციპული წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ სოციოლოგიური გამოკითხვის პროცესში, პარალელურ რეჟიმში ხელისუფლება აუცილებლად ჩაერთვება და სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები ერთმანეთს გადაფარავენ. საერთოდ კი, სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებს საორიენტაციო მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში მას არავითარი იურიდიული ძალა არ ექნება.

მაშინ როდესაც პრაიმერის შედეგებს იურიდიული ძალა ექნება იმიტომ, რომ პრაიმერი კანონით აკრძალული არ არის, ანუ კანონით დაშვებულია და პრაიმერში მონაწილეობენ რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიები, ანუ იურიდიული სუბიექტები და ის გამოავლენს ხალხის სამართლებრივ ნებას ერთ ოპოზიციურ კანდიდატთან მიმართებაში (ამასთან, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ პარალელურ რეჟიმში არ დაგვავიწყდეს ფორუმელების მოწოდება საარჩევნო გარემოს გაჯანსაღების შესახებძ.

მე, პარტიული კუთვნილებიდან თავისუფალი პირი, ვალდებულებას ვკისრულობ, გავხდე საქართველოში თავისუფალი, სამართლიანი და გაუყალბებელი არჩევნების პრეცედენტად დამკვიდრების ერთ-ერთი ხელშემწყობი.



**ბიძინა სავანელი,**
**წინასწარი არჩევნების (პრაიმერის) მთავარი კომისიის თავმჯდომარე.**

***P. S. როგორც ცნობილი გახდა, პრაიმერის მომხრე პარტიები დათანხმდნენ, რომ პრაიმერის ჩატარების გარეშე ბატონ ირაკლი ალასანიას თბილისის მერობის კანდიდატურას მხარს დაუჭერენ და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე სოციოლოგიურ გამოკითხვაზე თანხმობას განაცხადებენ, ხოლო საქართველოს დანარჩენ 7 ქალაქში პრაიმერს ჩაატარებენ.***

***ბ. ს.***

მე ვარ და ჩემი ნაბადი?!

# საქართველოში კანონებს მინისტრები ეურჩებიან?!



**მსოფლიოში ალბათ არ მოიძებნება მეორე ქვეყანა, სადაც კანონებს ისეთი „მორჩილი პატივისცემით“ ეპყრობოდნენ, როგორც საქართველოში. პრეზიდენტ სააკაშვილზე უკვე აღარავინ ლაპარაკობს. ქვეყანა კარგა ხანია შეეგუა იმას, რომ პრეზიდენტის სიტყვაა კანონი და არა თავად კანონი. აი, მინისტრებიც თუ დაუწყებდნენ ურჩობას მის უზენაესობას — ქართულ კანონმდებლობას, ამას კი აღარავინ ელოდა. ღმერთო დიდებულო, ამასაც მოვესწარით.**

თუმცა სიტყვა „ურჩი“ შესაძლოა, ჩვენს ინტელიგენტ და ჯენტლმენ მინისტრებს ყურში, ცოტა არ იყოს, უხეშად მოხვდეთ და შემისწორონ: ჩვენ კანონებს კი არ ვეურჩებით, ცხოვრებაში დამდგარი ამა თუ იმ მომენტის შესაფერისად ვაშალაშინებთ, ვაკეთილშობილებთ, საკუთარ ინტერესებს მოვარგებთ და შემდეგ ისეთნაირად ვიყენებთ, რომ არც მწვადი დავწვათ და არც შამფური. ვერაფერს იტყვი, ამ საქმეში მართლაც არაჩვეულებრივად დახვეწილნი და გემოვნებიანნი არიან.

მაგალითს მოვიშველიებ. ამას წინათ თბილისის ბაზრების მოვაჭრეებმა და ცალკეული ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა დიდი ხმაური ატეხეს საგადასახადო კოდექსში შეტანილ იმ ცვლილებასთან დაკავშირებით, რომელიც ძალაში მიმდინარე წლის 1 თებერვლიდან შევიდა. კერძოდ, მათ გააპროტესტეს კანონის ის მოთხოვნა, რომელიც ყველა გაყიდულ პროდუქტზე ზედნადების აუცილებლობას ითვალისწინებს. ის მოვაჭრე, რომელიც გაჯიუტდება და კანონის მოთხოვნას არ შეასრულებს, დაჯარიმდება 1000 ლარით, ხოლო განმეორების შემთხვევაში, შეიძლება ათჯერ მეტი თანხითაც დაზარალდეს.

რაღა თქმა უნდა, საგადასახადო ხარკით ისედაც წელში მოკაკულ მოვაჭრეებს შესაძლო ჯარიმებით გამოწვეული ახალი საფრთხე ემცხეთათ და გადაწყვიტეს თავიანთი უკმაყოფილება საპროტესტო აქციებით გამოეხატათ. მოვაჭრეთა გვერდით დადგა „სახალხო პარტიის“ თავკაცობაც. ეს ამბავი შეიტყო თუ არა ფინანსთა მინისტრმა კახა ბაინდურაშვილმა, ცუდად ენიშნა, მაშინვე „დაბზრიალდა“ და კანონში შეტანილ ცვლილებას სამინისტროსა და საკუთარ თავს მორგებული განმარტება გაუკეთა: არ დაუჯეროთ კობა დავითაშვილს, რომელსაც მოვაჭრეები შეცდომაში შეჰყავს. კანონში შეტანილი ცვლილება ბაზრების მოვაჭრეებს, აგრეთვე, გარემოვაჭრეებს და მცირე მაღაზიების მოვაჭრეებს არ ეხებათ. კანონი მათ ზედნადების აუცილებლობას არ უწესებს, ის ნებაყოფლობითია და ვისაც არ სურს, შეუძლია არ შეასრულოსო.

რა გამოდის? ხელისუფლებამ (ამ შემთხვევაში საკანონმდებლო ხელისუფლებაძ საგადასახადო კანონში ცვლილება შეიტანა, იმავე ხელისუფლების (აღმასრულებელი ხელისუფლებისძ ერთ-ერთი ბლაღოჩინი — ფინანსთა მინისტრი კი გაიძახის: ამ კანონის შესრულება აუცილებელი არ არის, ზედნადების გამოწერა ნებაყოფლობითია, მოგეპრიანება — გამოიწერ, მოგეპრიანება — არაო. ამის დასტურად ბაინდურაშვილი საგადასახადო კოდექსის 143-ე მუხლს იშველიებს, რომელიც თურმე მცირე მეწარმეს ზედნადების აუცილებლობას არ უწესებს.

მაინც რა წერია ამ მუხლში ისეთი, რომელიც მცირე მეწარმეებს შეღავათიან პირობებში აყენებს? მოდი, ჩავიხედოთ. „ეკონომიკური საქმიანობისთვის, — ნათქვამია მასში, — საქონლის, გარდა სოფლის მეურნეობის პირველადი (სამრეწველო გადამუშავებამდე-სასაქონლო კოდის შეცვლამდეძ პროდუქციისა, აგრეთვე, რეგულარული ან უწყვეტი წესით მიწოდებული საქონლისა (ელექტრო ან თბოენერგია, გაზი, წყალიძ სასაქონლო ზედნადების (შესაბამის შემთხვევებში — გამარტივებული ზედნადებისძ გარეშე ტრანსპორტირებისას, ხოლო საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანისას, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების გარეშე ტრანსპორტირებისას, პირი ჯარიმდება, შესაბამისად, სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებული ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე იმპორტირებული საქონლის საბაზრო ღირებულების დღგ-ის გარეშე (ხოლო აქციზური საქონლის შემთხვევაში — აქციზისა დღგ-ის გარეშეძ“.

პატივცემულო მკითხველო, სადმე მოკარით თვალი წინადადებას, რომელიც მოვაჭრეებს, გნებავთ, მცირე მეწარმეებს ზედნადების აუცილებლობისგან ათავისუფლებს? არა ხომ? აი ფინანსთა მინისტრმა კი ასეთი წინადადება „აღმოაჩინა“, უფრო სწორად, თავს უფლება მისცა, კანონზე მაღლა დამდგარიყო და მისთვის ისეთი განმარტება მიეცა, როგორიც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მის ინტერესებს მოერგებოდა. მან ესეც არ იკმარა და კანონის დარღვევისკენ მოვაჭრეებსაც უბიძგა — თავი არ დაიჩაგროთ, როგორც მოგეხუშტურებათ, ისე მოიქეცითო... თუმცა, როგორც ჩანს, მინისტრმა ეს ხერხი მოვაჭრეთა პროტესტის ჩასაქრობად გამოიყენა, თორემ საგადასახადოები რის მპატიებლები არიან, ბაზრებში შეიძლება ვერ გაბედონ, მაგრამ უზედნადებოდ პროდუქციის გადამტანებს, სადაც კი წამოეწევიან, იქ აჯარიმებენ(!ძ.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში კანონის, როგორც იტყვიან, ფეხებზე დაკიდების ფაქტთან გვაქვს საქმე, თუმცა საქართველოში არც ის შემთხვევებია უცხო, როცა კანონს, ჯერარმიღებულს, წინასწარვე იკიდებენ ფეხებზე. პრეზიდენტი სააკაშვილი, მაგალითად, თითქმის ისე არსად დაასრულებს თავის ისტორიულ გამოსვლას, რომ ნაცების ხელისუფლება ქვეყანაში მცირე მეწარმეობის განვითარებისთვის თავგადაკლულ მზრუნველად არ წარმოაჩინოს. ეს დარგი ჩვენი ეკონომიკისთვის პრიორიტეტულიაო, ამბობს სიტყვით, საქმით კი მისი აღმავლობისთვის არაფერს აკეთებს. სხვა თუ არაფერი, ეს იქედანაც ჩანს, რომ არ არსებობს საქართველოში კანონი მცირე მეწარმეობის შესახებ. კანონს ვინ ჩივის, ამის თაობაზე თუ რაიმე ნორმატიული აქტი არსებობდა, ყველა მოსპეს ან არქივში გადაუძახეს.

ახლა დასჭირდა ხელისუფლებას არჩევნების წინ დაფიქრებულიყო და მცირე მეწარმეთა გულის მოსაგებად ეთქვა, — ვნახოთ, შეიძლება დათმობაზე წავიდე და შეღავათიანი, ეგრეთ წოდებული ფიქსირებული გადასახადი დაგიწესოთო, თუმცა კონკრეტულად როგორი იქნება ეს გადასახადი, ამას კანონზე მაღლა მდგომი ფინანსთა მინისტრიც კი ვერ აზუსტებს. ან როგორ დააზუსტებს, როცა, როგორც ვთქვით, საქართველოში მცირე ბიზნესის შესახებ კანონი დღემდე არავის შეუქმნია და, ბუნებრივია, მცირე ბიზნესიც, როგორც იურიდიული კატეგორია, არ არსებობს? ქვეყნის საგადასახადო კოდექსში მცირე ბიზნესისთვის შეღავათი მანამდე ვერ დაწესდება, სანამ ცალკე კანონი არ მიანიჭებს მას ამ კვალიფიკაციას.

მაგრამ კანონს ვინ დაგიდევს საქართველოში, მთავარია ხელისუფალთ მოეპრიანოთ და ვისაც უნდათ, შეღავათს გაუწევენ და ვისაც არა — დასახრჩობად ყელში ისე წაუჭერენ, სინდისის ქენჯნას ოდნავადაც არ იგრძნობენ. ასე მოიქცნენ ამჯერადაც, როცა ეგრეთწოდებულ „მსხვილ“ ბიზნესმენებთან გარიგებაზე წავიდნენ, „წვრილებთან“ კი დალაპარაკებაც არ იკადრეს. ლაპარაკია იმაზე, რომ კომპანიებს, ვისაც აქვს დავალიანება 10 000 ლარს ზემოთ, შეიძლება სახელმწიფომ შესთავაზოს: გადაიხადე 5 000 ლარი და ერთი ამდენი გეპატიება!

იბადება კითხვა: ვის აქვს საქართველოში 10 000 ლარზე მეტი დავალიანება? ცხადია, ერთეულ და ისიც მსხვილ კომპანიებს. გამოდის, რომ ქვეყანაში, სამართალი შერჩევით მუშაობს, თორემ თუ მსხვილ ბიზნესს ვუკეთებთ შეღავათს, რატომ არ შეიძლება იგივე შეღავათით მცირე ბიზნესმაც ისარგებლოს? ჯარიმები ხომ „მსხვილსაც“ და „წვრილსაც“ ერთნაირი აქვთ?

**ზემოთ დასმულ კითხვასთან ერთად ჩნდება ეჭვიც — ხომ არ არსებობს მსხვილ ბიზნესთან ხელისუფლების გარიგების მცდელობა? მე თქვენ გეტყვით და ხელისუფლებისთვის ეს პირველი და უკანასკნელი ცდუნება იქნება!**

**ოთარ ხუციშვილი**

მკურნალი

# ყველაზე დიდი ჯილდო — ხალხის მადლიერება და სიყვარული

**საქართველოში ბევრი, ძალიან ბევრი კარგი ექიმია, მკურნალი, ვის მზესაც ფიცულობენ ავადმყოფები. ისიც ერთი მათგანია. სათნო ღიმილით, ცასავით ლურჯი, კრიალა თვალებით და სულის სიღრმეში ჩამწვდომი გამოხედვით.**

მას რომ მოუსმენ, სულ იმედდაკარგულსაც კი სიცოცხლის ხალისი გიბრუნდება, ისე უხვად გასცემს სითბოსა და სიკეთეს, მაგრამ როგორც ზღაპრებში ხდება ხოლმე, ეს სიკეთე მას ყოველთვის ათმაგად უბრუნდება.

ამ „ჯადოსნობას“ ნანა ლოლაშვილი ბავშვობიდანვე ეზიარა საკუთარ ოჯახში, იმ ინტელექტუალურ, გულითად გარემოში, რომელშიც იგი გაიზარდა.

მამა ქალაქკომის პირველი მდივანი იყო. ოთარ ლოლაშვილის აუგს ვერავის წამოაცდენინებდი, დედა — ქალბატონი დოდო — ექიმი, კუალოლოგი, ძმები — ირაკლი და ზურა — არქიტექტორები არიან, ნანამ კი დედასთან სამსახურში სიარულით ისე შეიყვარა ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი-ინსტიტუტი, რომ იქაურ ორდინატურაში მისულს ამ არაჩვეულებრივი კოლექტივიდან სხვაგან წასვლა აღარც უფიქრია.

აქვე დაიცვა საკანდიდატო, სადოქტორო დისერტაციები. მერე ჩინებული, სანდო და გამგებიანი ცხოვრების მეგობარიც შეიძინა — ვახტანგ კეკელიძე დიდი ხანი რესპუბლიკის მთავარი მეღვინე იყო.

მისი დედისერთა ქალიშვილი დალი ფარმაცევტული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია.

მასზე ამბობენ, საოცარი დედა და მეუღლეაო. სიყვარულზე, ერთგულებასა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ ოჯახს საზრუნავ-საფიქრალს რა გამოულევს, მაგრამ ძველებურად ყველაფერს აუდის. ქმარ-შვილსაც სამაგალითოდ უვლის და სახლშიც ყველაფერი წესრიგში აქვს.

იგი ახლა ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა სამკურნალო დარგში.

ხომ ასეთი უსაზღვროდ კეთილი და ადამიანურია, მაგრამ როგორც ხელმძღვანელი, ძალიან მომთხოვნი და მკაცრიც კია, უპასუხისმგებლობას, ცუღლუტობას და უპატიოსნებას საქმეში არავის აპატიებს. ასე რომ არ იყოს, არც სამედიცინო მომსახურების დონე იქნებოდა ასეთი მაღალი ამ ინსტიტუტში.

თავისთავად ცხადია, რომ ყოველივე იმის უკან, რასაც მიაღწია, დიდი გარჯა და მეცადინეობა, საკუთარ თავზე მუდმივი მუშაობა, მიზანმიმართული კვლევა-ძიება იყო, რადგანაც უამისოდ წარმატების მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა.

ქალბატონი ნანა, თავისი პროფესიის წყალობით, უამრავ ადამიანს შეხვედრია. ამიტომ, პიროვნების შეფასების საკუთარი კრიტერიუმი ჩამოუყალიბდა. მისი ღრმა რწმენით, მთავარი და უპირველესი ადამიანში ზნეობრიობა და სიყვარულის უნარია.

სწორედაც, უწინარესად ამ თვისებების გამო სცემენ პატივს მისი პაციენტებიც, კოლეგებიც, ნაცნობ-მეგობრებიც. თუ ამას მაღალ პროფესიონალიზმსაც დავუმატებთ, აღარ



უნდა გაგვიკვირდეს, თუ რატომ უყვართ ნანა ლოლაშვილი და არცთუ იშვიათად აუდიტორიაში შესვლისას ხვდება ასეთი ბარათები:

**„ქალბატონ ნანა ლოლაშვილს!**

**...იმედია, პირფერობაში არ ჩამოგვართმევთ, ქალბატონო ნანა, ჩვენს სითამამეს. მთელი ჯგუფი აღგვაფრთოვანა თქვენმა, როგორც ჩვენდამი, ისე საქმისადმი გულწრფელმა და ჰუმანურმა დამოკიდებულებამ.**

**ერთ საქმეში შეიძლება წარმატებული იყო, მაგრამ მასთან ერთად სხვა ადამიანური ღირსებებიც რომ ამშვენებს ადამიანს, ეს შეუმჩნეველი არასოდეს დარჩება. სწორედ ამიტომ გახდით ასე ახლობელი და საყვარელი ჩვენთვის. თქვენ პედაგოგის და ექიმის ნამდვილი ეტალონი ბრძანდებით. ასე მოკლე დროში თქვენგან იმდენი ვისწავლეთ, რომ, ვფიქრობ, ამის შემდეგ ჩვენს ცხოვრებაში ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვლება. თქვენ ხომ მაგალითი ხართ იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა, რომ უმაღლესი პროფესიონალი და ამავე დროს გულისხმიერი და საყვარელი ადამიანი იყოს.**

**ძალიან გვიყვარხართ. გისურვებთ, ასეთი ლამაზი და მხნე ყოფილიყავით მთელი სიცოცხლე.**

***პატივისცემით, სდასუს მე-5 კურსის სტუდენტები, 2009 წ. 3 ნოემბერი“.***

**— სისხლის დაავადებებიდან რომელია დღეს მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული?** — ვეკითხები ქალბატონ ნანას.

— რკინადეფიციტური ანემია. საქართველოში ეს დაავადება, ფაქტობრივად, ყოველ მეოთხე ადამიანს აღენიშნება. ამ დაავადების მატება, გარკვეულწილად, არადამაკმაყოფილებელ სოციალურ პირობებს უკავშირდება. რკინადეფიციტური ანემია სრულიად განკურნებადი დაავადებაა. მთავარია, მისი დროული გამოვლენა და სწორი მკურნალობა. ყველას ვურჩევ, ორ წელიწადში ერთხელ სისხლის საერთო ანალიზი გაიკეთოს.

**— ლეიკემიაზე რას გვეტყვით?**

— საერთოდ, ამ ბოლო დროს ჰემატოლოგიური დაავადებების მკურნალობაში ძალიან დიდი პროგრესია. მნიშვნელოვნად გაიზარდა ავადმყოფების სიცოცხლის ხანგრძლივობა და ცხოვრების ხარისხი. ხშირია მწვავე ლეიკემიით დაავადებული ბავშვების გამოჯანმრთელების შემთხვევებიც.

ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამედიცინო-კვლევითს ინსტიტუტში მართლაც რომ ავადმყოფებისადმი კეთილგანწყობილი გარემოა. ეს შეიძლება ასეც უნდა იყოს, აქ რა არის გასაკვირი, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს ბევრია ისეთი სამედიცინო დაწესებულება, სადაც სრულად არ არის ასე საქმე.

აქ მოხვედრილი ადამიანის ყურადღებას აუცილებლად მიიქცევს ექოსკოპიის კაბინეტის წინ შეკრებილი ადამიანების სიმრავლე, რომლებიც თავის რიგს ელოდებიან და თან ბადრი ბოჟოიძის სიკეთეზე საუბრობენ. ბადრი ექიმს მართლაც გამოარჩევს საოცარი გულისხმიერება და ყურადღება, ხშირად არც უსასყიდლო მომსახურებაზე ამბობს უარს.

ინსტიტუტის ლაბორატორიაში კი ერთმანეთზე გამოცდილი და პროფესიონალი ლაბორანტები საქმიანობენ.

ამ სახელოვან კოლექტივს კი დირექტორი მარინა აბაშიძე და მისი მოადგილე თინათინ ჯანაშვილი უდგანან სათავეში. სწორედაც მათი ძალისხმევით გაკეთდა რემონტი, შემოიტანეს ახალი ტექნიკა და დაინერგა უახლესი ტექნოლოგიები.

ნანა ლოლაშვილის მოკრძალებულ კაბინეტში თქვენს ყურადღებას აუცილებლად მიიპყრობს კედელზე გამოკრული მედიცინის მუშაკის ლოცვა:

**„უფალო, შენ ხედავ, როგორ ვუვლი სნეულთ, ქმენ, რათა ვემსახურო მათ არა მარტო ხელებით, არამედ გულითაც, ქმენ, რათა შევიყვარო ისინი! შევუნარჩუნო ჩემს გულს სხვისი ტკივილისადმი მგრძნობელობა, სიტყვებს — თავაზიანობა, შეხებას — სიფაქიზე.**

**მასწავლე ნუგეშისცემა მჭმუნვარე სულთა სნეული ხორცის მკურნალობით“...**

ნანა ლოლაშვილის დილა ამ ლოცვის კითხვით იწყება.

ვინ მოთვლის, რამდენ ავადმყოფს უმკურნალა იმ 35 წლის განმავლობაში, რაც აქ მუშაობს, რამდენს მიანიჭა შვება, დაუამა ტკივილი, დაუბრუნა სიცოცხლის ხალისი, შრომისუნარიანობა, რამდენს უწილადა უშურველად საკუთარი გულის სითბო, სიკეთე და სიყვარული.

ასე გრძელდება დღემდე.

**...თავისებურად სწრაფი ნაბიჯებით აივლის კიბეს და ავადმყოფებს შვებად მოევლინება. თავად კი ყოველდღე იღებს ყველაზე დიდ ჯილდოს, რასაც ხალხის მადლიერება და სიყვარული ჰქვია.**

**მარადი ანასაშვილი**

ყოფა

# „კულტურული ციგანკა“ და ქართველი ვაჭარი

## რა ხდება მეტრო „მარჯანიშვილის“ გვერდით?

**— ეს ჩვენი ქალაქის მერი ყველგან რომ დარბის საარჩევნოდ, დავიჯერო აქ ერთხელ მაინც არ გამოუვლია?! — აწუწუნდა ერთი სანდომიანი ქალბატონი.**

**— ამ ადგილზე ავტობუსის ლოდინს ყველაფერი მირჩევნია... — ჩაერთო საუბარში მეორე.**

**ხალხს სხვა რა უნდა, ოღონდ სალაპარაკო თემა გაჩნდეს და...**

ეს ამბავი მარჯანიშვილის მეტროსადგურის გვერდით ავტობუსების გაჩერებაზე ხდება. თუმცა რალა ავტობუსების, ვინც აქ ერთხელ მაინც მოხვედრილა, იცის, რომ მანქანების პარკირება სამარშრუტოებისა და ავტობუსების გაჩერება — ყველაფერი ერთად ხდება, მგზავრებისთვის კი ტერიტორია თითქმის არ რჩება. გაჩერებული მანქანა უკანა მხარეს დაიძრება, გვერდიდან მოგადგება სამარშრუტო თუ წინ ავტობუსი ჩაგივლის, არავინ იცის. ერთბაშად გაჩერებაზე მოსული ყვითელი ავტობუსებიც ისე ჩახერგავენ გზას, რომ მგაზვრები კისრისტეხვით გარბი-გამორბიან, ზოგი უადგილო ადგილას ჩაკვეხებულ სამარშრუტოს შეახტება ხოლმე, ზოგიც ავტობუსს, რომელიც ისე ჩაკეტავს სიჩქარეში კარებს, ხან თავი გრჩება შიგნით, ხან ფეხი გრჩება გარეთ.



საკითხავია, ჩვენი ქალაქის ძიძებს ეს როგორ გამოეპარათ?! მით უფრო, აქ პიკის საათებში შექმნილი საცობების გამო, რომელიც გაფართოებულმა „კუნძულმა“ კიდევ უფრო დაამძიმა, პატრულის მანქანა წინ და უკან ყვირილ-ყვირილით დარბის, მაგრამ ამაოდ.

გაჩერებაზე შექმნილი ვითარების გამო ის-ის იყო მგზავრების საუბარი საინტერესო ფაზაში შევიდა, რომ ამ დროს მანქანამაც გამაყრუებლად დაამუხრუჭა. რა მოხდა, დანახვა ვერავინ შეძლო, რადგან ავტობუსების რიგი იდგა. წუთიცდა სამოცს გადაცილებული ბებიაც გამოჩნდა, რომელიც ვიშვიშებდა (ალბათ, კინაღამ მანქანის მსხვერპლი გახდაძ, თანაც ზურგზე მოკიდებული რაღაც ნაკეთობა მოჰქონდა.

როგორც იქნა, გაჩერდა და ეს ნაკეთობები მიწაზე დადო, რომ იქვე მდგომ ჯიპს ორი გოგონა მიუახლოვდა. ერთი საჭესთან დაჯდა, მეორე გვერდით მიუჯდა და მანქანაც დაქოქა.

**— ქალბატონო, გაიწიეთ, მანქანა გამოჰყავთ. ბავშვი ზის, იქნება ტარება არ იცის.**

ბებომაც უკან მოიხედა და ელვასავით ეცა თავის ნივთებს. მანქანა მშვიდობიანად გავიდა.

**— რა არის ეს ქალბატონო?**

— ოო. ტანსაცმლის გადასაკიდია, დასადგამი... გააუთოვებ, გადაკიდებ, ან ძილის წინ, გაიხდი და გადაკიდებ...

**— მივხვდი, მივხვდი... რას აფასებ?**

— თხუთმეტ ლარს, ეს ორილა დამრჩა, დანარჩენი გავყიდე.

**— ბევრი გქონდათ?**

— ათი. მეუღლე აკეთებს, მე ქუჩაში ვდგავარ და ვყიდი... ამასწინათ რაზე გამეცინა, იცით. ჩემ გვერდით „ციგანკა“ იჯდა, მთელი დღე ხმა არ ამოუღია, იჯდა ასე „კულტურულად“ და ვაჭრობდა. მე კიდევ გავყვიროდი და გავყვიროდი, მოდით, ჩემი „ვეშაკები“ იყიდეთ-მეთქი, — ამას ისე იუმორისტულად მოჰყვა, ყველას გულიანად გაეცინა.

— მაშა... ვინ წარმოიდგენდა, რომ ჩემი ხნის ქართველი ქალი ასეთი ვაჭარი დადგებოდა, ამას თუ ვიკადრებდი, — ხმა დაუსევიანდა.

**— არა უშავს, ღმერთმა ჯანი მოგცეთ,** — დაამშვიდეს გულშემატკივარმა მგზავრებმა.

ამასობაში ავტობუსი — სამარშუტოებიც ჩამოდგნენ და ყველამ საკუთარი თავის „გადარჩენაზე“ დაიწყო ფიქრი. აზრი თუ გაგეფანტა, ვინ იცის, რომელი ავტო საიდან დაგარტყამს ამ აურზაურში...

**ნია ფიფია**

სამეგრელო

# ზუგდიდის თეატრი ძლიერ მმართველს ელოდება

**ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო თეატრი ორ თვეზე მეტია მმართველის გარეშეა.** ირაკლი გოგია, რომელიც თბილისიდან ჩამოვიდა, რამდენიმე წელიწადი ხელმძღვანელობდა თეატრს და არც თუ ისე ურიგოდ. უშუალოდ მისი და მოწვეული რეჟისორების მიერ მრავალი კარგი სპექტაკლი დაიდგა თეატრში, მაგრამ მან ისევ თბილისში დაბრუნება ისურვა. მისი წასვლის მიზეზებზე სხვადასხვა ვერსია არსებობს. ამბობენ თეატრს ბიუჯეტი შეუმცირესო, სხვა თეატრიდან მოუვიდა მოწვევაო და ა. შ. როგორც თეატრის თანამშრომლები აცხადებენ ირაკლი თეატრიდან გულმოსული და გაბრაზებული არ წასულაო.

ახლა მიმდინარეობს შერჩევა პიროვნებისა, რომელიც თეატრს უნარიანად უხელმძღვანელებს. თანამშრომლების სურვილია, რომ თეატრის მმართველი იყოს ზუგდიდელი, ამ საქმის მცოდნე, ხოლო სპექტაკლები კი მოწვეულმა რეჟისორებმა დადგან. ასეთი პიროვნების შერჩევა, არც თუ ისე იოლი აღმოჩნდა. იმასაც ამბობენ, რომ შესაძლებელია თეატრს ქალბატონმა მაია კალანდიამ უხელმძღვანელოსო. ის ახლახან დაითხოვეს სამეგრელო-ზემო სვანეთის პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატის განათლების, კულტურისა და სპორტის უფროსის თანამდებობიდან, თუმცა ზუგდიდის გამგებელს ალექსანდრე ქობალიას ამის გაგონებაც არ სურს. მას მიაჩნია, რომ თეატრს ძლიერი მამაკაცი უნდა ჩაუდგეს სათავეში, რადგანაც ზუგდიდის თეატრში არსებულ ქაოსურ სიტუაციას მამაკაცი თუ გაუმკლავდებაო!

ვნახოთ, ვინ გახდება ამ უძველესი და უმდიდრესი ტრადიციების მქონე თეატრის მმართველი.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი.**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთი და საქართველო გაუკვალავი ბილიკებით შეაერთეს

**რუსეთისა და საქართველოს საზღვარზე სამწლიანი შესვენების შემდეგ გაიხსნა სასაზღვრო-საბაჟო პუნქტი „ზემო ლარსი“. რუსეთის მხარე, მოსალოდნელის საპირისპიროდ, არ შეეცადა გამარტივებული რეჟიმის აღდგენას საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებით სასაზღვრო ტერიტორიების მცხოვრებლებისთვის. ამრიგად საქართველოში გამგზავრებისთვის მათ ჯერ უნდა მიიღონ საქართველოს ვიზა მოსკოვში შვეიცარიის საელჩოში. შედეგად საზღვარი პირველ დღეს გადაკვეთა მხოლოდ ათობით ავტომობილმა**

ზემო ლარსი დაიკეტა რუსეთის მხარის ინიციატივით სამი წლის წინათ. ფორმალურად საკითხი შეეხებოდა ობიექტის რეკონსტრუქციას „რემონტის აუცილებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მოწყობის მიზნით“. მაგრამ ექსპერტებმა ეს ერთმნიშვნელოვნად შეაფასეს, როგორც თბილისზე მოსკოვის მხრიდან ზემოქმედების მცდელობა. შარშან მაისში რუსეთის მხარეზე გაიმართა ახალი საერთაშორისო საავტომობილო პუნქტის მშენებლობის დასრულების ცერემონია. ოთხი თვის შემდეგ საქართველომ, ამერიკის შეერთებული შტატების დახმარებით, დაასრულა თავისი მხრიდან საკონტროლო-გამტარი პუნქტის რეკონსტრუქცია. 2009 წლის ბოლოს კი მოსკოვმა და თბილისმა შვეიცარიის შუამავლობით ჟენევაში ხელი მოაწერეს ოქმს პირდაპირი მიმოსვლის განახლების შესახებ რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის.

ზემო ლარსის გახსნას საქართველოს მხრიდან ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მთელი ხელმძღვანელობა, რომლის შემადგენლობაშიც შედის საქართველოს სასაზღვრო პოლიციაც. არ იყო მხოლოდ უწყების შეფი ვანო მერაბიშვილი.

ზემო ლარსის რაიონში მცირე აქტივობის ერთ-ერთი მიზეზი გახდა რუსეთის მხრიდან ადგილობრივ მცხოვრებთათვის საზღვრის გადაკვეთის გამარტივების პროცესზე უარის თქმა. ამ დროს საქართველოს ყაზბეგის რაიონს – ერთადერთ მის ტერიტორიას, რომელიც მთავარი კავკასიონის ქედს გადალმაა და მის მცხოვრებლებს ისტორიულად დიდი ნათესაური და სავაჭრო ურთიერთობა აკავშირებს ჩრდილოეთ ოსეთის მცხოვრებლებთან. ეს ურთიერთობანი დაირღვა რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის 2008 წლის აგვისტოში შეწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობის შემდეგ, როდესაც ყაზბეგში მცხოვრები ბევრი ოსი იძულებული გახდა რუსეთში წასულიყო. მაშინ, მიუხედავად იმისა, რომ საზღვარი ფორმალურად დაკეტილი იყო, მათ მოუწყეს დერეფანი, რომლითაც მსურველებს შეეძლოთ გადასულიყვნენ ჩრდილოეთ ოსეთში. ახლა იმისთვის, რომ გადალახონ საზღვარი, რუსეთისა და საქართველოს მოქალაქეებს მოუწევთ ვიზებისთვის მიმართონ შვეიცარიის საელჩოს მოსკოვსა და თბილისში. ამავე დროს საზღვრის გადაკვეთა ორივე მხრიდან ყოველგვარი ვიზის გარეშე შეუძლიათ დსთ-ს ქვეყნების მოქალაქეებს.




შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ზემო ლარსის სასაზღვრო პუნქტის გახსნისთანავე რამდენიმე მეტრში გაიმართა მიტინგი, რომელიც მოაწყო ჩრდილოეთ ოსეთის საზოგადოებრივმა მოძრაობამ „დარიალმა“. იგი აერთიანებს საქართველოს ყაზბეგის რაიონიდან გამოსულ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს. მომიტინგეებმა მოძრაობის თავმჯდომარის გაირბეკ სალბიევის მეთაურობით სასაზღვრო უწყების ხელმძღვანელობისგან მოითხოვეს – მიენიჭოს უფლება ყაზბეგის რაიონის მცხოვრებლებს გადაკვეთონ საზღვარი გამარტივებული სქემით, თუმცა პუნქტის ხელმძღვანელობიდან არავინ გამოჩენილა. ამის ნაცვლად მოსულმა მილიციონერებმა სთხოვეს მომიტინგეებს დაშლილიყვნენ, ხოლო ბატონი სალბიევი წაიყვანეს განყოფილებაში ჩვენების მისაცემად არასანქცირებულ მიტინგთან დაკავშირებით.

მესაზღვრეების სიტყვებით, ზემო ლარსი, რომლის გამტარუნარიანობა დღე-ღამეში შეადგენს 7 ათასამდე კაცს, 50-მდე ავტობუსს და 900-მდე ავტოსატრანსპორტო საშუალებას, სრული ძალით ამოქმედდება ზაფხულის მოახლოებასთან დაკავშირებით, როდესაც გაიხსნება გზა ჯვრის უღელტეხილზე. თანაც მაშინაც ძირითადი ტვირთის ნაკადები წამოვა არა საქართველოდან, არამედ სომხეთიდან, რომლის მოქალაქეებსაც ვიზები არ სჭირდებათ არც საქართველოში, არც რუსეთში. 2006 წლამდე სომხეთის მთელი საგარეო-სავაჭრო ბრუნვის მესამედი ხორციელდებოდა სწორედ ზემო ლარსის გავლით.

ამავე დროს, მიაჩნიათ ექსპერტებს, თბილისს ეს საშუალებას მისცემს გვერდი აუაროს რუსეთის ემბარგოს. საკონტროლო-გამტარი პუნქტის გახსნის წინა დღით სომხეთის პრეზიდენტი იმყოფებოდა ბათუმში, სადაც საქართველოს პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან ერთად დაათვალიერა ქალაქის ღირსშესანიშნაობანი. თბილისმა და ერევანმა პრაქტიკულად შეათანხმეს სქემები, რომლის თანახმადაც საქართველოს პროდუქცია მოხვდება რუსეთის ბაზარზე, იმის დადგენა ხომ ძნელი იქნება – მწვანილი, კარტოფილი თუ სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია მოდის სომხეთიდან თუ საქართველოდან.

**გიორგი დვალი,
ზაურ ფარნიევი,
ალექსანდრ რეუტოვი**

Коммерсантъ

# დემოკრატია თბილისში

**ომმა რუსეთთან, რომელიც 2008 წლის აგვისტოში გაჩაღდა, ახალი სიმწვავით დააყენა საქართველოსთვის მთელი რიგი აქტუალური საკითხები და უწინარეს ყოვლისა, საკითხი იმის შესახებ, რა უფრო სჭირდება საქართველოს – ძლიერი სახელმწიფო თუ დემოკრატიული ინსტიტუტები. სანამ საჭესთან მიხეილ სააკაშვილია, საკითხი, ალბათ, სწორედ ასე დგას: ან – ან. მიუხედავად იმისა, რომ არის მეტად ნიჭიერი და კარგად განათლებული პიროვნება, სააკაშვილი მზად არ არის ნება მისცეს მთელ ქართულ პოლიტიკურ კლასს მთლიანად – მონაწილეობა მიიღოს დემოკრატიულ პროცესში**

ის თრგუნავს სხვათა აზრს, არ იწვევს ოპოზიციონერებს, რათა მიიღონ მონაწილეობა საგარეო და საშინაო პოლიტიკის პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტაში. ამას აკეთებს მხოლოდ მოჩვენებით, პიარის თვალსაზრისით, და რეგულარულად იხევს უკან დემოკრატიული პრინციპებისა და ღირებულებებისგან პიროვნული პოლიტიკური ამბიციებისა და ინტერესების სახელით. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში ქართული ოპოზიცია გამოიყურება არაორგანიზებულად და ქაოტურად.

მხოლოდ ცოტას თუ ესმის დასავლეთში სააკაშვილის ჭეშმარიტი განზრახვები. ხალხმა ან სიმართლე არ იცის, ან ურჩევნია მასზე არც იფიქროს. მართალია, ეს რეჟიმი წინანდელზე უკეთესია, მაგრამ პრეზიდენტს ურჩევნია ისაუბროს ცვლილებებსა და დემოკრატიულ პოლიტიკაზე და არ იმოქმედოს ამ მიმართულებით. თავის საერთაშორისო იმიჯს მთავრობა უფრო მეტ ყურადღებას უთმობს, ვიდრე პოლიტიკურ რეფორმებს. უცხოელი ლობისტების დახმარებით სააკაშვილმა შეძლო დაერწმუნებინა დასავლეთი, რომ პატივს სცემს დემოკრატიულ ინსტიტუტებს. დასავლეთმა ეს ირწმუნა. ეს სიუჟეტი განსაკუთრებით კარგად მოერგო შეერთებულ შტატებს. შემთხვევითი ხომ არ ყოფილა, რომ ბუშის ადმინისტრაცია, შემდგომში კი პრეზიდენტობის კანდიდატი ჯონ მაკკეინი მტკიცედ დადგნენ თბილისის მხარდაჭერის გზაზე. სხვათა შორის, როგორც ჩანს, ამ თვალსაზრისით ობამას ადმინისტრაცია მათგან დიდად არ არის დაშორებული.

დასავლეთის დედაქალაქებში საქართველო აღიარეს „დემოკრატიის შუქურად“ – გულახდილად რომ ვილაპარაკოთ, „ვარდების რევოლუცია“ ხომ სწორედ აქედან დაიწყო. მაგრამ მოგვიანებით წარმოდგენა რეალობას დაშორდა. საქართველო დარჩა არადემოკრატიულ და არალიბერალურ ქვეყნად. ამას განსაკუთრებით კარგად წარმოაჩენს კონფლიქტი დასავლურ წარმოდგენებსა და ქართულ რეალიებს შორის რუსეთთან ომის ფონზე. დასავლეთმა უპირატესობა მიანიჭა სააკაშვილის მიერ შემოთავაზებულ მოვლენათა ვერსიას, რომლის თანახმადაც აგრესორად გამოვიდა მოსკოვი. დასავლეთს მიაჩნდა, რომ სააკაშვილი აჰყვა რუსების პროვოკაციას და საქართველო ჩაითრია ომში იმ მიზნით, რომ მოახდინოს თბილისის ინტეგრირება ევროატლანტიკურ გაერთიანებაში. ამ სტრატეგიამ ვერ გაამართლა. ამერიკამ და ევროპამ ვერ გარისკეს ჩაბმულიყვნენ ომში მოსკოვთან საქართველოს გულისთვის, ხოლო დასავლეთის მხოლოდ სიმპატიები რთული პრობლემების გადასაწყვეტად აშკარად საკმარისი არ აღმოჩნდა. შედეგად – საქართველო კვლავ რჩება დამარცხებულ, გათიშულ და ოკუპირებულ ქვეყნად.

ომის შემდეგ წარმოქმნილი კრიზისიდან გამოსასვლელად საჭიროა საქართველოს ყველა მოქალაქე ჩაებას პოლიტიკურ პროცესში. მთავრობამ უნდა ეძებოს კომპრომისები და მხარი დაუჭიროს პოლიტიკურ ბალანსს, ვინაიდან დემოკრატია – ეს არის, ფაქტობრივად, მუდმივად განახლებადი შეთანხმება, რომელიც ემყარება ქვეყნის ინსტიტუციონალურ სისტემას და მის ლეგიტიმურობას. პატიოსანი და სამართლიანი არჩევნები, თუნდაც ისინი აღიარებული იყვნენ საერთაშორისო გაერთიანებით – გზის მხოლოდ დასაწყისია. არადემოკრატიულ და არალიბერალურ ქვეყნებსაც კი შეუძლიათ მოაწყონ პატიოსანი არჩევნები, რომლებსაც აღიარებენ როგორც უცხოეთის მეთვალყურეები, ისე საერთაშორისო გაერთიანება მთლიანად. საქართველოს მართავენ არალიბერალური მეთოდებით, ქვეყნის ძირითადი ადმინისტრაციული და საფინანსო რესურსები ხშირად გამოყენებულია გარკვეული პოლიტიკური კლანის ინტერესებისთვის. ამ დროს რეალური დემოკრატიული სისტემა მოითხოვს მმართველი ელიტისა და მოქალაქეების ურთიერთპასუხისმგებლობას, პირველ რიგში ოპოზიციასთან ურთიერთობას. დემოკრატიული სახელმწიფოს სიმტკიცე იმართება კონსტიტუციის შესაბამისად და საქართველოს შეუძლია მოაგვაროს პრობლემები, რომლებსაც იგი ამჟამად გადაეყარა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეეცდება განახორციელოს ცხოვრებაში მთლიანად ეს დემოკრატიული იდეალი.

თბილისმა არ უნდა ეძებოს უცხოეთში თავისი პოლიტიკური სირთულეებისგან თავის დაღწევა – მათ შორის რუსეთთან პრობლემის დაძლევაც. დასავლეთი არ იბრძოლებს მოსკოვთან საქართველოს გამო. შეერთებულ შტატებს აქვს თავისი ამოცანები საგარეო და საშინაო პოლიტიკაში და იგი თავს არ მისცემს ნებას – გააღიზიანოს კრემლი ერთი აღმოსავლეთ-ევროპული ქვეყნის გამო. ევროპა, თავის მხრივ, დამოკიდებულია რუსეთზე ენერგოშემცველების მიწოდებასთან დაკავშირებით. მოსკოვს შესანიშნავად ესმის თავისი გავლენა და იყენებს ამ კომერციულ და პოლიტიკურ ინსტრუმენტებს საკუთარი სარგებლობისთვის. საქართველო უნდა იქცეოდეს მეტად ფრთხილად და თავი აარიდოს ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს, რომლებმაც შეიძლება გააღიზიანოს მოსკოვი ანდა კიდევ სხვა ვინმეც, ვინაიდან საერთაშორისო გაერთიანებისგან იგი ვერაფერს მიიღებს თანაგრძნობის გარდა – ეს აჩვენა აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან კონფლიქტის შედეგებმა.

ამრიგად საქართველოს ისღა რჩება, რომ თავად დაეხმაროს თავის თავს. მან თავად უნდა გადაწყვიტოს თავისი საშინაო პრობლემები, დაამტკიცოს თავისი ერთგულება დემოკრატიული მართვის პრინციპებისადმი. საქართველომ უნდა გამოიტანოს გაკვეთილი თავისი წარსული შეცდომებისგან და გაიგოს: სააკაშვილის თავდაჯერებულობა, რომ გადმოიბირებს დასავლეთის დედაქალაქებს, არანაირ სასარგებლოსთან არ მიგვიყვანს. ერთადერთი გამოსავალი ომისშემდგომი დაავადებიდან – ეს არის რეალური დემოკრატიული რეფორმების განხორციელება ყველა პოლიტიკური შეხედულების ქართველის მონაწილეობით.

მსოფლიო ამჟამად განიცდის ახალ გარკვეულ რეალიებთან ადაპტაციის მტკივნეულ პერიოდს. სწორედ ეს უდევს საფუძვლად რუსეთთან ურთიერთობის „განტვირთვის“ ამერიკულ გეგმებს, რომლებიც ითვალისწინებენ როგორც უშიშროების ახალი პარადიგმების დამუშავებას, ისე მოსკოვისა და ევროპის სხვა ქვეყნების ჩართვას თანამშრომლობის ახალ ურთიერთობაში.

რუსეთმა და მისმა მეზობლებმა წინასწარ უნდა მოაწესრიგონ თავიანთი დავები და კონფლიქტები (მათ შორის საშინაო კონფლიქტებიც). ამის შანსი ბევრი არაა, მაგრამ საბოლოო ჯამში მასში ჩართულმა ყველა ქვეყანამ უნდა ჩამოაყალიბოს „განტვირთვის“ საკუთარი პროგრამა.

National Interest

## დედამიწის ზურგზე




**იანუკოვიჩის ევროპაში ვიზიტის შემდეგ მოსკოვში დაფიქრდნენ მედვედევის ტაქტიკური შეცდომის შესახებ**

წინა დღით უკრაინის პრეზიდენტი ბრიუსელში ჩავიდა. ევროკავშირში სახელმწიფოს ახალი ხელმძღვანელის არჩევა შეაფასეს, სამშობლოში კი გაოცებული არიან: რომელ ევროინტეგრაციას შეეხება საკითხი, თუკი ეს მიზანი ამიერიდან არის მხოლოდ პრიორიტეტი სიტყვებით. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი შეცდა, რომ არ ჩავიდა იანუკოვიჩთან, წერს რუსეთის პრესა.

* * *

**აშშ მზად არის, იკისროს შუამავლის ფუნქციები არგენტინასა და დიდ ბრიტანეთს შორის ფოლკლენდის კუნძულებთან დაკავშირებით**

ამის შესახებ განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა ლათინური ამერიკის ქვეყნებში ტურნეს დროს არგენტინის პრეზიდენტთან კრისტინა ფერნანდეს დე კიშნერთან შეხვედრისას. ადრე ამერიკამ უარი თქვა, დამდგარიყო დიდი ბრიტანეთის მხარეზე, რომელსაც, ისევე, როგორც ბუენოს აირესს, ფოლკლენდი თავისად მიაჩნია.

* * *




**იემენში ასაფეთქებელ ნივთიერებათა საწყობში აფეთქებამ რამდენიმე სახლი დაანგრია: 20 კაცი დაიღუპა**

ინციდენტი მოხდა ქვეყნის სამხრეთში ქალაქ ტაიეზში. აფეთქების შედეგად დაინგრა მახლობლად მდებარე სამი შენობა. ცნობები აფეთქების მიზეზების შესახებ უცნობია.

* * *

**აშშ-ს მოსახლეობის აღწერის ბიურო დაეხმარება რუსულად მოლაპარაკე მოსახლეობას ანკეტების შევსებაში**

აღწერათა მთელი ისტორიის მანძილზე ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველად გაიხსნება იმ მცხოვრებთა დახმარების ცენტრი, რომლებიც ინგლისურად არ ლაპარაკობენ. რუსულ ენაზე მოლაპარაკე მცხოვრებლებს შეუძლიათ მიიღონ საცნობარო სახელმძღვანელოები, რაც დაეხმარება მათ, მშობლიურ ენაზე გაიგონ პირობები, თუ როგორ უნდა შეავსონ ანკეტები ინგლისურ ენაზე.

* * *

**ლორა ბუშის მემუარები გამოვა ორი თვის შემდეგ**

ნიუ-იორკში გაიმართა წიგნის ყდის პრეზენტაცია. მოგონებათა კრებული გამოქვეყნდება სახელწოდებით „მთელი სულით და გულით“. ჰონორარის შესახებ წინასწარ ცნობილი არაფერია. ლორას ქმრის წიგნი კი გამოვა მიმდინარე წლის შემოდგომაზე.



დიდი ტერორი?

# ალექსანდრ ელისეევი

# 1937 წლის გამოცანის ამოხსნა

## „საუკუნის დანაშაული" თუ ქვეყნის გადარჩენა?

გამოდის, რომ 1938 წლის მოსკოვის მესამე პროცესს, რომელიც საბრალდებო სკამზე ბუხარინს, რიკოვსა და იაგოდას აერთიანებდა, მხედველობაში ჰქონდა რეალური ფაქტები. ბუხარინი იყო წონადი ფიგურა, რომელიც ემყარებოდა საიდუმლო პოლიციის შეფის მხარდაჭერას.

აქ კვლავ ცოტას შევეხები „კიროვის მკვლელობის გამოცანას" – არის ამის საბაბი. თუ აქამდე არ არის საკმარისი ფაქტები, რომ სიზუსტით განვსაზღვროთ ამ პოლიტიკური მკვლელობის თავად დამკვეთი, მთელი რწმენით შეიძლება ვილაპარაკოთ მასში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობის ჩართვის შესახებ. სხვაგვარად როგორ შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ კიროვის მკვლელი ნიკოლაევი გაატარეს სმოლნში ჩეკისტური დაცვის ნებაზე მიშვებით? მთელი საკითხი კი ის არის, თუ ვინ და რატომ ჩართო მასში ხელმძღვანელობა. ვერსია იმის შესახებ, რომ ორგანოებს მთლიანად დიქტატორი სტალინი ხელმძღვანელობდა, მეტად საეჭვოა. როგორც ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდან ჩანს, იაგოდა სულაც არ ყოფილა ყურმოჭრილი მორჩილი ბელადის ხელში. ხოლო თუ ვაღიარებთ, რომ ის ბუხარინის ჯგუფის წევრი იყო, აქ დროული იქნება ასეთი კიროვის მკვლელობაზე სწორედ ამ ჯგუფს დავაკისროთ.

ბუხარინელებს ყველა საფუძველი ჰქონდათ, ესურვათ „მირონიჩის" სიკვდილი. დადგა დრო, გავიხსენოთ, რომ სწორედ ის იყო XVII ყრილობაზე „მემარჯვენეების" ყველაზე მწვავე კრიტიკოსი. ცხადია, რომ კიროვს სურდა სერიოზულად გაეზარდა თავისი პოლიტიკური კაპიტალი „მემარჯვენეების" კრიტიკით და პარტიის ყურადღება ჩამოეშორებინა რეგიონალური ადგილობრივი ადამიანისაკენ, გადაეტანა ყურადღება „ტრებზე". ასეთად შეიძლება ყოფილიყვნენ არჩეული ან „მემარცხენეები" (ტროცკისტები, ზინოვიეველები), ან „მემარჯვენეები". პირველებისთვის ხილისხლადა კიროვს ის ფაქტი, რომ მხედველობაში არ მივიღებთ მის შესაძლო კავშირებსაც კი ტროცკისტთან, მაინც უნდა გავითვალისწინოთ ლენინგრადელი ბოსის გარემოცვაში არსებული ბევრი „ჭონნიგბული" ზინოვიეველი, რომელთა გაწმენდაც, მიუხედავად სტალინის მოთხოვნებისა, მას არ უნდოდა. ლენინგრადში ოდესღაც ზინოვიევის ბოჭრინა გახლდათ, და მემარცხენეებთან შეთვეა გამოიწვევდა არაჯანსაღ ინტერესს მისი დღევანდელი მფლობელი – კიროვისადმი. დამახასიათებელია, რომ როდესაც „მემარჯვენე" მეძარაზეებს აკრიტიკებდა, კიროვს სიტყვაც არ დასცდენია „მემარცხენეებზე".

საშიშნი შერჩეული იყვნენ „მემარჯვენეები", მაგრამ მათაც აღმოაჩნდათ თავიანთი მხოლოდილები. ახლა საშიშნი თავად კიროვი გახდა. და „მემარჯვენეებისთვის" მისი მკვლელობის ხელსაყრელობა შედეგებშიაც არ დააყოვნა. 1934 წლის დეკემბრიდან წყდება მემარჯვენე გადახრის ნებისმიერი კრიტიკა. სროლა (მათ შორის ტყვიითაც) ახლა წარმოება „მემარცხენეების" – ტროცკისტებისა და ზინოვიეველების მისამართით. ბუხარინი კვლავ მხედარია – ამიერიდან აკრიტიკებენ არა მას, არამედ თავად იგი ესხმის თავს თავის ოპონენტებს მარცხნიდან.

საერთოდ, 1934 წელს, ჯერ კიდევ კიროვის მკვლელობამდე, ბუხარინი განიცდის ახალ აღმაფრენას თავის კარიერაში, თუმცა არა ისეთ შთამბეჭდავს, როგორიც ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ. რედაქტორია გაზეთ „იზვესტიისა", რომელიც მეტად საინტერესო, სასიამოვნოდ საკითხავ გაზეთად გადაქცია და რომელიც ძალიან განსხვავდებოდა მოსაწყენი, ფორმალური ოფიციოზისაგან – „პრავდისაგან". გაზეთის ძირითადი მიმართულებაა „ჰუმანიზმი" და „ანტიფაშიზმი". ბუხარინი აქტიურად ეთვება ახალი კონსტიტუციის შექმნის პროცესში. აშკარად ვერ აუარა მის გავლენას გვერდი ანტიფაშისტური სახალხო ფრონტის კონცეფციის შექმნამაც, რომელიც აერთიანებდა კომუნისტებსა და სოციალ-დემოკრატებს.

ხანგრძლივი შერისხვის შემდეგ იდეოლოგიის სფეროში დაბრუნების დროს ბუხარინი აკეთებს განაცხადს, რათა დაიბრუნოს მთავარი თეორეტიკოსის პოზიციები. მაგალითად, 1934 წლის მაისში „იზვესტიაში" დაიბეჭდა მისი სტატია „საბჭოთა ქვეყნის ეკონომიკა". გარეგნულად იგი ლოიალური სულისკვეთებისა იყო, მაგრამ მასში იმალებოდა სხვადასხვა წყალქვეშა ქვები. თუ ყურადღებით ჩაუკვირდები, სტატიაში შეიძლება დაინახო სტალინური კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის შეფარული კრიტიკა. აი, მაგალითად, სავსებით გულღია დაკვირვება: „დაგროვებითი ნაწილის პროცენტი აღმოჩნდა მეტად მაღალი (ამის გამოც არის დიდი „დაძაბულობა"), საწარმოო ძალთა გადანაწილება სხვა დარგების ხარჯზე (მათ შორის სოფლის მეურნეობაზეც), თანაფარდობა წარმოებასა და მოხმარებას შორის ვითარდებოდა პირველის მხარეს გადამჭარბელი გადაწონით".

ამასთან ბუხარინმა კოლექტივიზაციას „აგრარული რევოლუცია" უწოდა, რითაც მის ზედმეტ რადიკალიზმზე მიუთითებდა.

მაშინ პარტიის ყოფილი „რჩეული" მკაცრად გააკრიტიკეს. ამ საქმეში განსაკუთრებით გამოირჩეოდა „უკლონისტის" ყოფილი მოწაფე ა.ი.სტეცკი. მან მეტად ზუსტად შენიშნა, რომ ბუხარინი ცდილობს გაამართლოს თავისი ძველი შეცდომები. ამასთან დაკავშირებით ა.ვ.შუბინი წერს: „საერთოდ, სტეცკიმ, რომელიც კარგად იცნობდა ბუხარინს, ნათლად გამოხატა უკანასკნელის სავარაუდო ტაქტიკა: დაიბრუნოს ოფიციალური თეორეტიკოსის სტატუსი, შექმნას უფრო შემოქმედებითი თეორიული და ტერმინოლოგიური „აპარატი" და მისი დახმარებით გადასინჯოს ოფიციალური დოგმები და შეხედულება უკანასკნელი წლების მოვლენებზე. ასეთ იდეოლოგიურ „ძირის გამოთხრას" შეუძლია შეცვალოს პარტიული სტრატეგია და რეჟიმი („ბელადები და შეთქმულები")".




მაგრამ, მიუხედავად კრიტიკის კორიანტელისა, ბუხარინი რჩებოდა იდეოლოგიური ფრონტის მოწინავე ხაზზე. და კიროვის მკვლელობამ კიდევ უფრო განამტკიცა მისი პოზიცია. ყველაფერი ნორმალურად წავიდა, თუმცა პირველ ხანებში ბუხარინს ძალიან შეეშინდა. ი.ერენბურგის დამოწმებით, როდესაც კიროვის მკვლელობის შესახებ გაიგო, ამ ინტელიგენტმა-ისტორიკოსმა წაილუღლუღა: „გესმით, ეს რას ნიშნავს? ახლა მას შეუძლია გაგვიკეთოს ყველაფერი, რასაც მოისურვებს. და სწორიც იქნება". „მას" – გასაგებია, ეს სტალინია. მაგრამ რას ნიშნავს „და სწორიც იქნება"? ესე იგი არის მაინც რაღაც ხელმოსაკიდი? როგორც ეტყობა, ბუხარინს, როდესაც გაიგო, რომ კიროვი ჩამოიშორეს გზიდან, შეეშინდა თავისი გაკეთებულის გამო. ერთია, ჩაიფიქრო მკვლელობა საერთოდ, ოპოზიციის თანამეგობართა წრეში, როდესაც იღებ „პოლიტიკურ" გადაწყვეტილებას და მის პრაქტიკულ განხორციელებას უტოვებ იაგოდას თავისი თავზე ხელაღებული ხალხით. და სრულიად სხვაა – გაიგო მკვლელობაზე რეალური ფაქტის შესახებ, გაუცივებელი სისხლის შესახებ, რომელიც სმოლნის დერეფანში დაიღვარა. აქ რაფინირებული ინტელიგენტის გული შეიძლება შეტოკდეს: „რომ დამიჭირონ, აუ, რა საშინელებაა? აფსუს, რას მივძვრებოდი იქ?" მაგრამ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა, სტალინმა ირწმუნა „მემარცხენე" კვალი, უფრო ზუსტად, ვითომ დაიჯერა. თავისთავად, გავლენიანი რეგიონალის კიროვის მკვლელობა მას ხელს აძლევდა. ხოლო რომ ჩართულიყო „მემარჯვენეებთან" (განსაკუთრებით ყოვლისშემძლე იაგოდასთან) მწვავე კონფრონტაციაში – არ უნდოდა – გარკვეულ დრომდე. მას უფრო მნიშვნელოვნად წარმოედგინა დარტმა „მემარცხენეებზე" – ზინოვიეველებსა და ტროცკისტებზე, რომლებიც კვლავ „მსოფლიო რევოლუციაზე" ბოდავდნენ. და „მემარცხენეებსაც" დაარტყეს – თანაც გვარიანად. ტროცკიზმთან ბრძოლის პირველ რიგებში კი იდგა ბუხარინი, რომელმაც „იზვესტიაში" ნამდვილი ნადირობა გააჩაღა „ტროცკისტულ-ზინოვიევურ ქაჯებზე".

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ბუხარინში ცრემლი და სენტიმენტალობა ეხამებოდა რაღაც ინფანტილობას, „ბავშვურ" სიმკაცრეს. თავად იგი, რბილი ინტელიგენტი და კაბინეტის თეორეტიკოსი, ჯალათისა და ტერორისტის როლისთვის არ ვარგოდა, მაგრამ შეეძლო მოწოდება სხვადასხვა სისხლიანი და მკაცრი ღონისძიებების გაძლიერებისკენ. ჯერ კიდევ 1918 წელს ბუხარინი არ იყო წინააღმდეგი დაეპატიმრებინათ ლენინი მემარცხენე ესერებთან ერთად. იმავე წელს „პარტიის რჩეულმა" დაწერა: „პროლეტარული იძულება ყველა ფორმაში, დაწყებული დახვრეტებიდან და დამთავრებული შრომითი იძულებით, არის კაპიტალისტური ეპოქის ადამიანური მასალისგან კომუნისტური ადამიანობის შემუშავების მეთოდი".

ეს რაც მასობრივ ტერორს შეეხება, მაგრამ ბუხარინს ჰქონდა მიზნებიც ინდივიდუალურ ტერორთან დაკავშირებით. მაგალითად, შვეიცარიელი კომუნისტი ჟ.ემბერდრო, რომელსაც ანტისტალინური პოზიცია ეკავა, ყვებოდა, რომ 1928 წელს ბუხარინმა ნდობით აცნობა მას თავისი მზადყოფნა, შეუერთდეს „მემარცხენეების" ოპოზიციონერთა ბლოკს და სტალინის წინააღმდეგ გამოიყენოს პიროვნული ტერორის მეთოდები. დაახლოებით იმ დროს შექეიფიანებული ტომსკი დაჰპირდა სტალინს, რომ „მალე ჩვენი მუშები სროლას დაგიწყებენო".

„სტალინმცოდნეები", რომლებსაც ჭიპი აქვთ მოწყვეტილი „ტოტალიტარიზმის" გამოაშკარავებაში, ჩვეულებრივად, სერიოზულ ყურადღებას არ უთმობენ ბუხარინის ასეთ და სხვა ნიადაგის მოსინჯვებს. რას იზამ, რა უნდა მოსთხოვო მას – ნათელი, ემოციური პიროვნება, ექსცენტრიკოსიაო... ინტელიგენტიაო! რა მოხდა, კაცმა გაიხუმრა, ვის არ მოსვლია. კარგი ხუმრობებია! სტალინს ეს ვაჟბატონები არ ჰპატიობენ უმცირეს კაპრიზულ გამონათქვამსაც კი. მე კი მიმაჩნია, რომ ბუხარინი იყო მკვლელის ყველაზე საზიზღარი ტიპი, რომელიც თავად არ კლავს, არ მიდის რისკზე, მაგრამ სამაგიეროდ სხვას უბიძგებს ამისკენ.

## „ქარიშხალა" კვლავ მიფრინავს

სხვათა შორის, ინტელიგენტების შესახებ. ბუხარინი თავისი მიდრეკილებით – მოეხდინა ყოველივეს თეორეტიზება, და დაუცხრომელი მჭევრმეტყველებით, შემოქმედებითი ინტელიგენციის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილის კერპი იყო. როგორც ცნობილია, ამ ფენებს შორის ყოველთვის ძლიერია ოპოზიციური განწყობილება, განსაკუთრებით იმ მმართველების მიმართ, რომლებიც აძლიერებენ სახელმწიფოს და იცავენ პატრიოტიზმის ღირებულებებს. საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობაზე (1934 წელი) მისმა მონაწილეებმა ბუხარინს მქუხარე ოვაცია მოუწყვეს (პარტიის ყრილობის დელეგატებისგან განსხვავებით). შეიძლება, ზოგიერთმა მათგანმა იცოდა, რომ ბუხარინი იზიარებდა ა.მ.გორკის აზრს სსრ კავშირში მეორე პარტიის შექმნის იდეას ინტელიგენციის წარმომადგენლებით (უარეს შემთხვევაში, გორკი მზად იყო დაკმაყოფილებულიყო ერთგვარი „უპარტიოთა კავშირითაც"). ნიკოლაევსკის ცნობით, ბუხარინს მიაჩნდა, რომ „რაღაც მეორე პარტია აუცილებელია".

გორკი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში აკრიტიკებდა ბოლშევიკებს სწორედ სოციალ-დემოკრატიული პოზიციებიდან, ასევე ბევრს საუბრობდა ჰუმანიზმის შესახებ. ის, როგორც ბუხარინი, წინააღმდეგი არ ყოფილა ემსჯელათ რუსეთის „ეროვნულ ჩამორჩენილობაზე". ისინი ორივე, როგორც რუსოფობები, ერთმანეთის ღირსები იყვნენ. „ქარიშხალა" რუსეთის ისტორიას „ტარაკანების რბოლას" ადარებდა, ბუხარინი წერდა „ობლომოვების ქვეყანაზე". ორივეს ეჯავრებოდა რუსეთის გლეხობა. სხვას კი არა, სწორედ ბუხარინს სწერდა „დიდი ჰუმანისტი" 1925 წლის ივლისში: „საჭირო იქნებოდა, ძვირფასო ამხანაგებო, რომ თქვენ ან ტროცკიმ მიუთითოს მუშამწერლებს ის ფაქტი, რომ მათი სამუშაოს გვერდით უკვე ჩნდება გლეხიმწერლების სამუშაო და რომ აქ შესაძლებელია – ალბათ, თქვენ წარმოიდგინეთ, გარდაუვალიც ორი „მიმართულების" კონფლიქტი. ყოველგვარი „ცენზურა" აქ იქნებოდა მხოლოდ მავნე, და მხოლოდ გაამწვავებდა გლეხთაყვანისცემისა და სოფელმოყვარულობის იდეოლოგიას (რა სიტყვებია! – ა. ე.), მაგრამ ამ იდეოლოგიის კრიტიკა – თანაც დაუნდობელი – უნდა იყოს ახლავე. ესენინის ნიჭიერი, სულისშემძვრელი ტირილი სოფლურ სამოთხეზე – არ არის ის ლირიკა, რომელსაც დრო და მისი ამოცანები მოითხოვენ და რომელთა სიდიდეც წარმოუდგენელია... ქალაქი და სოფელი უნდა დადგნენ – შუბლით შუბლზე".

როგორია, ჰა? ჩვენ ყველა შევეჩვიეთ მივიჩნიოთ 20-იანი წლების ნიმუშის ბუხარინი გლეხების ინტერესების დამცველად, რომელიც მკერდით აღუდგა წინ „სტალინურ კოლექტივიზაციას". აქ კი მძვინვარე „ქარიშხალა" მოუწოდებს მას შუბლებით შეაჯახოს ერთმანეთს ქალაქი და სოფელი. თანაც მას ტროცკის ადარებს – აიო, ორივე კარგად გაართმევდით თავს ანტიგლეხურ ნაწერებსო.

გორკიმ იცოდა, ვისთვის მიეწერა. სინამდვილეში ბუხარინი მთელი სულით „კულაკის" აღმოფხვრის მომხრე იყო. 1927 წლის ოქტომბერში მან განაცხადა: „ახლა საშუალო გლეხობასთან ერთად და ღარიბობაზე, აღორძინებულ მეურნეობაზე და კავშირისა და პარტიის ძალებზე დაყრდნობით, შეიძლება და უნდა გადავიდეთ ფორსირებულ შეტევაზე კაპიტალისტური ელემენტების, პირველ რიგში კულაკობის წინააღმდეგ". მაგრამ, როდესაც 1927-1928 წლების ზამთარში სტალინი წავიდა საგანგებო ზომებზე გლეხობისგან პურის ამოღების მიზნით, შესანიშნავი სულის პატრონი ინტელიგენტი ბუხარინი შეშინდა, რომ „ბნელი გლეხი" ნაფლეთებად აქცევდა საბჭოთა ხელისუფლებას. სწორედ ამ შიშისგან შექმნა მან თავისი შესანიშნავი ეკონომიკური თეორია, რომლითაც აღფრთოვანებული იყვნენ გარდაქმნის ეპოქაში.

ბუხარინს არ სჯეროდა რუსეთის გლეხობისა და მიაჩნდა, რომ კოოპერირება შეიძლება მხოლოდ ათი-თორმეტი წლის შემდეგ. მხოლოდ მაშინ კოოპერაციის უმარტივესი ფორმები (სამომხმარებლო, საკრედიტო და ა.შ.) გაიზრდებიან უმაღლეს ტიპამდე. წარმოიქმნებიან დიდი გლეხური მეურნეობები, რომლებსაც შეეძლებათ უმაღლესი ტექნიკის ექსპლუატაცია. მრეწველობა კი, ბუხარინის აზრით, უნდა შესაბამებოდა კუს ტემპებს და განვითარებულიყო ნელა, დალოდებოდა, სანამ სოფელი ნელ-ნელა გამდიდრდებოდა და შეეძლებოდა შეესყიდა სამრეწველო საქონელი. არსებითად, ეს იყო რუსეთისა და რუსი ხალხის შესაძლებლობათა, მათი შემოქმედებითი ძალის ურწმუნოება. ბუხარინის ლიბერალური, „ნეპური" პროგრამა გამოდიოდა მისი რუსოფობიიდან. და ამ თვალსაზრისით ის ერთიანი იყო ტროცკისთან და ზინოვიევთან, რომლებსაც ასევე არ სწამდათ „ველური, ბარბაროსული" რუსეთისა, მთელ იმედებს ამყარებდნენ დასავლეთის პროლეტარიატის რევოლუციურ დახმარებაზე.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 14-39.

მარჯვედა სცემდეს ჩოგანსა

# დაფუძნდა სამხარეო ფედერაცია

**შიდა ქართლის მხარე მეორეა აჭარის შემდეგ, სადაც ჩოგბურთი, როგორც სპორტის სახეობა, რეგიონული ფედერაციის სტატუსით დაფუძნდა.**

ეს მოხდა ამ დღეებში, გორში, ქალაქის ჩოგბურთის კორტებზე, სადაც მუდამ ხალხმრავლობაა და დიდი თუ პატარა, გოგონები თუ ბიჭები, ახალგაზრდები თუ ჭარმაგნი, თავდავიწყებით თამაშობენ ჩოგბურთს, კვალიფიციური მწვრთნელების ხელმძღვანელობით იმაღლებენ თამაშის კლასს.



სიყვარულისა არ იყოს, ჩოგბურთსაც ყველა ასაკი ემონება.

გორის ჩოგბურთის კორტებზე სწორედ ამ სიყვარულმა მოიყვანა სპორტის ამ სახეობის ასობით მოყვარული თუ გულშემატკივარი. ისინი ქალაქის სპორტულ ცხოვრებაში მართლაც რომ ღირსსახსოვარი მოვლენის მოწმენი გახდნენ: დაფუძნდა ჩოგბურთის სამხარეო ფედერაცია.

ამ მოვლენისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიალზე სიტყვა წარმოთქვეს საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ზურაბ ქაცარავამ, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ზაზა ცოტნიაშვილმა, გორის სპორტსკოლის დირექტორმა იაგო ჯალაბაძემ, პოეტებმა ჯემალ ინჯიამ და ვანო ჩხიკვაძემ, ახალგაზრდა ჩოგბურთელმა ხატია გოგალაძემ და სხვებმა.

შიდა ქართლის ჩოგბურთის სამხარეო ფედერაციის თავმჯდომარედ აირჩიეს გორის უნივერსიტეტის რექტორი ზაზა ცოტნიაშვილი.

გაიმართა საჩვენებელი შეხვედრები, ხოლო ნორჩი ჩოგბურთელები სპორტული ჩანთებით დააჯილდოვეს.

**გურამ ვაშაკიძე**

ვანკუვერი — 2010-ის ექო

# სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის თვალით

**სახელგანსმენილ ირინა როდნინასას, რომელსაც სპორტული კარიერის მანძილზე არც ერთი შეჯიბრება არ წაუგია, ესაუბრება „КП“ ჟურნალისტი. ვფიქრობთ, ამ ინტერვიუს რამდენიმე ამონარიდი არც ჩვენი მკითხველისათვის იქნება ინტერესს მოკლებული.**



**— დაჩაგრეს თუ არა მსაჯებმა ევგენი პლიუშჩენკო და შეეძლო თუ არა მას ხვდენილი ვერცხლის მედლის მაგიერ „ოქროს“ აღება?**

— მოდით, საგნები თავიანთი სახელებით მოვიხსენიოთ: მთავარ მეტოქეებთან შედარებით ტრიალი ჟენიას სუსტი ჰქონდა, ბილიკები — ერთობ პრიმიტიული, თვით პროგრამაც უხეირო, ულამაზო გამოუვიდა. კი ბატონო, პლიუშჩენკომ იბრძოლა, ვინ დავობს, ასეთი სრიალითაც შეეძლო ჩემპიონი გამხდარიყო. სასწორი ზემოთ-ქვემოთ ადი-ჩადიოდა. ჟენიას არ წაუგია, ამერიკელს არ მოუგია, თუმცა რუსეთის ფიგურული სრიალის ფედერაციის ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო ჩვენს მხარეს ბედის სასწორის გადმოხრა.

**— თავმჯდომარე პისეევი უნდა გადადგეს?**

— რუსეთული ფიგურული სრიალის ღირსება უნდა იყოს ფოკუსის ცენტრში და არა ერთი კონკრეტული კაცისა. პისეევი უნდა გადადგეს ვანკუვერში ჩაფლავების შემდეგ, მაგრამ მე არა მჯერა ასეთი სასწაულებისა. არ ვფარავ ამ ფიგურისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას, მას თვითდაჯერებულად, თავხედად ვთვლი. სხვას დავუჭერ მხარს.

**— ევგენი პლიუშჩენკო ლაპარაკობს ანტონ სიხარულიძის სასარგებლოდ...**

— თავმჯდომარედ, როგორც მე მგონია, ფიგურული სრიალიდან არ უნდა მოვიდეს კაცი, სხვანაირად თავს ვერ დავაღწევთ გაუთავებელ ინტრიგებს, კლანების ბრძოლას. ხმას კარგ მენეჯერს, მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელს მივცემდი...

**— რა არ არის ამჟამინდელ ახალგაზრდებში ისეთი, რაც გქონდათ თქვენ?**

— ჩვენ გამარჯვებულთა თაობის შვილები ვიყავით, მშობლებმა დიდი ომი მოიგეს და ჩვენც გამარჯვების სულისკვეთებით გვზრდიდნენ. თანამედროვე ახალგაზრდობამ რისთვის დასდოს თავი? მამულის სამსახურზე ლამაზი სიტყვების გარეშე უნდა იცხოვროს და იმუშაოს, ჰონორარებისათვის უნდა იზრუნოს.

საბჭოურ ხანაში ყველაფერზე ანგარიშს ვიძლეოდით, პასუხს ვაგებდით... პირველ ოლიმპიურ ოქროზე 3 ათასი მანეთი მივიღე პრემია, ბოლოზე — 5 ათასი, ავტომობილებსაც არ გვჩუქნიდნენ, თვითონ ვყიდულობდით. ახლა? ხომ ხედავთ, რა ზღაპრული ჰონორარებია. რისთვის?..

მოამზადა

**თამაზ ეზანოიძე**

# ოლიმპიური ჩინოვნიკები უნდა გადადგნენ

**ასეთი განცხადება გააკეთა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა პარტიის „ედინაია როსიას“ ხელმძღვანელობასთან შეხვედრისას.**

„მათ, ვისაც პასუხისმგებლობა აკისრია ოლიმპიადისთვის მომზადებაში, პასუხი უნდა აგონ ახლაც, — მოაქვს პრეზიდენტის სიტყვები **იტარ-ტასს,** — პასუხისმგებელმა მუშაკებმა უნდა მიიღონ ვაჟკაცური გადაწყვეტილება და დაწერონ განცხადება“.

იქვე პრეზიდენტმა დაამატა — „თუ ეს არ შეუძლიათ, ჩვენ დავეხმარებით“.

შემდეგ პრეზიდენტმა ისიც აღნიშნა, რომ აქამდე საბჭოური სპორტის ინერციით მივდიოდით. და იმაზეც მიუთითა, რომ არ შეიძლება სპორტის საბჭოური სკოლის გაიდეალებაო. როგორც შემდეგ მედვედევმა აღნიშნა, სპორტის განვითარებისთვის ქვეყანა უპრეცედენტო ფულს სდებს, მაგრამ როგორც ვანკუვერში აღმოჩნდა, ფული ყველაფერს ვერ წყვეტსო.

უნდა დავფიქრდეთ, თუ როგორ შევცვალოთ სპორტსმენების მომზადება, — აღნიშნა სახელმწიფოს მეთაურმა, — ყველაზე წინ სპორტსმენი უნდა იდგეს და არა ფედერაციები, მსუქან კატებს რომ დაემსგავსნენო. შემდეგ კი ყურადღება გაამახვილა სოჭის ოლიმპიადისთვის მზადებაზე.

განსჯა

# რატომ იქცა მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საკითხი საკამათოდ?

**ფიზიკური აღზრდით ადამიანი, მისი წარმოშობის ადრეულ საფეხურზე მას შემდეგ დაინტერესდა, რაც აღზრდაზე დაიწყო ფიქრი. იქიდან მოყოლებული, იგი აღზრდის განუყოფელი ნაწილი გახდა. ფიზიკური აღზრდა დღესაც აღზრდის სისტემის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. ფიზიკური აღზრდის დანიშნულებას, იმთავითვე, ადამიანის ფიზიკური განვითარების, შრომითი და თავდაცვითი საქმიანობისადმი მომზადება წარმოადგენდა.** გადიოდა ათასწლეულები, იცვლებოდა საზოგადოებრივი ფორმაციები, ადამიანების ცხოვრების წესი, მაგრამ ფიზიკური აღზრდის ფუნქცია არ შეცვლილა, იგი დღესაც იმავე მიზნებსა და ამოცანებს ემსახურება, რასაც ჩასახვის დღიდან ემსახურებოდა და ასე გაგრძელდება მომავალშიც. საზოგადოების განვითარებასთან, სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან და ცხოვრების სხვა ფაქტორების ცვლილებებთან ერთად, შესაბამისად იცვლებოდა მხოლოდ ფიზიკური აღზრდის ფორმები, საშუალებები და მეთოდები. ამრიგად, ფიზიკური აღზრდა საზოგადოებრივი ცხოვრების მუდმივი კატეგორიაა და ასევე დარჩება, ვიდრე იარსებებს საზოგადოება, ამიტომაცაა, რომ ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, სასწავლო დაწესებულებების პროგრამებში ფიზიკური აღზრდა შეტანილია, როგორც სავალდებულო საგანი და მისი ამოღება არავის აზრად არ მოსვლია. ამასთან დაკავშირებით მოვიყვანთ ერთ მაგალითს: ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომლის მკვიდრთა ცხოვრების წესი რატომღაც მისაბაძი გახდა ჩვენთვის, პროფესორ შალვა ამონაშვილის გადმოცემით ყველა ტიპის სასწავლო დაწესებულებაში ოთხი სავალდებულო საგანია: ინგლისური ენა, ინგლისური ლიტერატურა, ისტორია და ფიზიკური აღზრდა. დანარჩენი საგნები პროფილის მიხედვითაა შერჩეული. სამწუხაროდ, ჩვენთან ამ უკანასკნელ წლებში, ლაპარაკი დაიწყო ფიზიკური აღზრდის საგნის სასწავლო გეგმიდან ამოღების შესახებ. ბევრ სკოლაში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილი საერთოდ არ ტარდება, ან თუ ტარდება, მეტად უხარისხოდ, დაბალ დონეზე. ხოლო, რაც შეეხება უმაღლეს სასწავლებლებს, სტუდენტი ახალგაზრდობა საერთოდ ფიზიკური აღზრდის გარეშე დატოვეს. სადღეისოდ საქართველოს არც ერთ უმაღლეს სასწავლებელში მეცადინეობები ფიზიკურ აღზრდაში არ ტარდება. უფრო მეტიც, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 ივნისის დადგენილებით საქართველოში არსებული ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ერთადერთი სპეციალური უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც ქვეყნისათვის ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მაღალკვალიფიციურ კადრებს ამზადებდა, გააუქმეს, ხოლო 1952 წელს, ყოფილ საბჭოთა სივრცეში, პირველად აგებული ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სპეციალური შენობა გამოკეტილია და უფუნქციოდაა მიტოვებული.

დღეს, 21-ე საუკუნეში, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ეპოქაში, როდესაც ე. წ. ჰიპოდინამიის გამო ადამიანის ფიზიკური დეგრადაციისაგან გადარჩენის ერთადერთ საშუალებას საყოველთაო აღიარებით მხოლოდ ფიზიკური ვარჯიშების სისტემური გამოყენება წარმოადგენს, სასწავლო გეგმებიდან ფიზიკური აღზრდის საგნის ამოღება, რბილად რომ ვთქვათ, ნონსენსია.

ფიზიკური აღზრდის საგნისადმი ასეთ დამოკიდებულებას, ბუნებრივია, არ შეიძლებოდა საზოგადოება არ ჩაეფიქრებინა და უკმაყოფილება არ გამოეწვია. საბედნიეროდ, განათლების მინისტრად ბატონ დიმიტრი შაშკინის დანიშვნასთან ერთად მდგომარეობა სასიკეთოდ შეიცვალა და მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის საკითხი განათლების სისტემაში სერიოზული განსჯის ობიექტად იქცა.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო ბატონ მინისტრის ამასწინანდელმა განცხადებამ იმის შესახებ, რომ განზრახული აქვთ ფიზკულტურის გაკვეთილის სპორტით ჩანაცვლება. ჩვენი აზრით, ეს თემა მეტ დაფიქრებას, სერიოზულ მიდგომას და დაკვირვებას საჭიროებს, რადგან ამ საკითხში გაურკვევლობამ, შემდგომში შეიძლება მეთოდური ხასიათის სიძნელეები წარმოქმნას. საქმე ეხება ფიზიკური აღზრდის თეორიის ცნებებში გაუცნობიერებლობას და აქედან გამომდინარე შედეგებს. ამიტომ ძალიან მოკლედ, რამდენადაც ეს საგაზეთო წერილშია შესაძლებელი, შევჩერდებით სამ ძირითად ცნებაზე, კერძოდ: ფიზიკურ კულტურაზე, ფიზიკურ აღზრდასა და სპორტზე. ვფიქრობთ, ამის შემდეგ ნათელი გახდება, თუ რა უნდა ეწოდოს სკოლაში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის ამოცანების გადასაჭრელად გამოყენებულ მეცადინეობის ფორმას.

**ფიზიკური კულტურა** — საერთო კულტურის ნაწილია და მის სპეციფიკურ თვისებას მოძრაობით აქტივობაში ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება წარმოადგენს, რომელსაც იგი გარკვეული მიზანდასახულობით გამოიყენებს. როდესაც საუბრობენ ფიზიკურ კულტურაზე, მხედველობაში აქვთ ფიზიკური ვარჯიშები, რომელთაც კონკრეტული ამოცანის გადაჭრის მიზნით მიმართავენ. მაგალითად: შრომის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით, დაავადებისა თუ ტრავმებისგან განკურნებისთვის, დაღლის შემდეგ ენერგიის აღდგენისათვის და ა. შ. იმისდა მიხედვით, თუ რა მიზნით ხდება ფიზიკური ვარჯიშების გამოყენება, ჩამოყალიბდა ფიზიკური კულტურის ფორმები. კერძოდ: სკოლაში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მიზნით — სასკოლო ფიზიკური კულტურა, პროფესიული საქმიანობისათვის სპეციალური ფიზიკური მომზადების მიზნით პროფესიულ-გამოყენებითი ფიზიკური კულტურა, მაგალითად: კოსმონავტის, მემანქანის, ხარატის და ა.შ. ფიზიკური მომზადება, მკურნალობის მიზნით — სამკურნალო ან ადაპტაციური ფიზიკური კულტურა, ყოველდღიურ ყოფით რეჟიმში ჩართულთათვის — ჰიგიენური ფიზიკური კულტურა. შრომითი საქმიანობის შემდეგ დასვენების მიზნით — რეკრეაციული ფიზიკური კულტურა. სპორტიც ფიზიკური კულტურის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც ფიზიკური ვარჯიშის ამორჩეულ სახეობაში დაოსტატებას, სარეკორდო და საჩემპიონო შედეგების მიღწევის მიზანს ემსახურება. როგორც დავრწმუნდით, ფიზიკური კულტურა ფართო ცნებაა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა მიზნით გამოყენებულ მოძრაობითი აქტივობის მრავალ ფორმას. ფიზიკური კულტურის ყველა ჩამოთვლილ ფორმას გააჩნია სპეციფიკური ამოცანები, საშუალებები და მეთოდები. ამდენად, მათი სპორტით ჩანაცვლება ყოვლად შეუძლებელია. ასევე არამართებული იქნება სკოლაში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის პროცესი ფიზკულტურის გაკვეთილის ან სპორტის ფორმით ჩატარდეს.

**სპორტი** — საშეჯიბრო მოღვაწეობა, სადაც ხდება ადამიანების ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობების დაპირისპირება და შედარება სპეციალურად დადგენილი კრიტერიუმებით და ამ მოღვაწეობის მზადების მთელი პროცესი. სპორტში მეცადინეობის მიზანია სარეკორდო და საჩემპიონო შედეგების მიღწევა და შეჯიბრებებში გამარჯვება. აღნიშნული მიზნების მისაღწევად გამოიყენება სრულიად განსხვავებული საშუალებები, ფორმები და მეთოდები, რომლებიც ფიზიკური კულტურის სხვა ფორმებისათვის მიუღებელია, მით უმეტეს სკოლისათვის. მაგალითად, სპორტი კვირეულ ციკლში ექვსჯერად, თორმეტჯერად და კიდევ უფრო მეტი რაოდენობის მეცადინეობებს საჭიროებს, რაც სკოლის პირობებში შეუძლებელია. სპორტში, წვრთნის პროცესში, გამოიყენება დიდი, მაქსიმალური, ზღვრული და ზეზღვრული დატვირთვები, რაც სასკოლო გაკვეთილზე მიუღებელია და კიდევ სხვა მრავალი თავისებურებანი, რის გამოც სკოლაში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა სპორტის სახით ვერ განხორციელდება. ამრიგად, არც სპორტი შეიძლება იყოს სკოლაში ფიზიკური აღზრდის ძირითადი ფორმა.

**ფიზიკური აღზრდა** — აღზრდის საერთო სისტემის ნაწილია, ის პედაგოგიური პროცესია, სადაც ხდება მომეცადინეთა სპეციალური ცოდნით, მოძრაობითი ჩვევებით შეიარაღება



და ფიზიკური თვისებების (ძალის, სისწრაფის, გამძლეობის, სიმარჯვის და მოქნილობის) განვითარება.

მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა სასკოლო ფიზიკური კულტურის ფორმით ხორციელდება, მის სპეციფიკურ ამოცანას კი მოსწავლეთა საერთო ფიზიკური მომზადების ოპტიმალური დონის მიღწევა შეადგენს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასკოლო ფიზიკურმა აღზრდამ, საშუალო სკოლის დამთავრებისას უნდა უზრუნველყოს მოსწავლეთა შრომისუნარიანობის ის ოპტიმალური დონე, რომელიც აუცილებელია ცხოვრებაში ნებისმიერი საქმიანობის ნორმალურად წარმართვისთვის. ამ ამოცანის განხორციელება კი მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკური აღზრდის გაკვეთილზეა შესაძლებელი. და ბოლოს, საშუალო სკოლაში ფიზიკური აღზრდის ამოცანა მოსწავლეთა საერთო ფიზიკური მომზადების უზრუნველყოფაა და არა სპორტსმენების მომზადება.

ამრიგად, სკოლაში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის პროცესის ორგანიზაციული ფორმა ფიზიკური აღზრდის გაკვეთილი უნდა იყოს და არა სხვა რამ. ეს ლოგიკურიცაა, რადგან აღზრდის სიტემის შემადგენელი ნაწილი ხომ ფიზიკური აღზრდაა. სკოლის სასწავლო გეგმაშიც ფიზიკური აღზრდის საგანია შეტანილი. ვერავითარ საფუძველს და აუცილებლობას ვერ ვხედავთ ფიზიკური აღზრდის გაკვეთილის სპორტით ჩანაცვლების შესახებ. რაც შეეხება სპორტს, როგორც დავინახეთ, იგი სრულიად განსხვავებული რამ არის, რომელიც საშუალო სკოლის ფარგლებში ვერ განხორციელდება.

**შოთა ბუაძე,**
**პროფესორი**

## ვულოცავთ!



ქართველი ერისა და ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წინაშე გაწეული ღვაწლისთვის უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ დააჯილდოვა ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე წმინდა გიორგის სახელობის ორდენით და მიანიჭა საქართველოს დედის ტიტული.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმის წევრები ვულოცავთ საპატიო ჯილდოს მიღებას ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, ჭეშმარიტ მამულიშვილს, მრავალი თაობის აღმზრდელს, ჩვენი ფონდის ერთ-ერთ დამფუძნებელსა და საპატიო წევრს, ქალბატონ მარიამს, ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და მხნეობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

**მერაბ ბერძენიშვილი,**
საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე

## პრეზენტაცია

# უკრაინული ბიზნესი საქართველოში

**გუშინ უკრაინის საელჩოში ახალი ჟურნალის „უკრაინული ბიზნესი საქართველოში“ პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც უკრაინის საელჩოსა და კომპანია „Georgian Business Consulting Group“ მხარდაჭერით გამოიცა. ჟურნალში ფართოდ არის წარმოდგენილი უკრაინულ-ქართული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები.**

როგორც საქართველოში უკრაინის ელჩის წარმომადგენელმა აღნიშნა, ჩვენს ქვეყნებს ტრადიციული ურთიერთობები აკავშირებს, თუმცა ამ ურთიერთობის ახალი ეტაპი, განსაკუთრებით მას შემდეგ გახდა ინტენსიური, რაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ. გაფორმდა 120-ზე მეტი ხელშეკრულება პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ სფეროში.

**მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა და კავკასიაში ომის მიუხედავად, უკრაინა რჩება ყველაზე საიმედო ბიზნეს-პარტნიორად საქართველოსთვის – აღინიშნა პრეზენტაციაზე.**

უკრაინის საელჩოს წარმომადგენელმა სავაჭრო-ეკონომიკურ საკითხებში ვალერი ფრუნზემ განაცხადა, რომ უკრაინული ბიზნეს-კომპანიები დაინტერესებული არიან საქართველოში ინვესტიციების ჩადებით, განსაკუთრებით – ფოთის თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში. სწორედ ამას ემსახურება ახალი ჟურნალი, რომელიც სამენოვანია და როგორც მისი გამომცემლები გეგმავენ წელიწადში ერთი ნომერი გამოიცემა. ჟურნალის მიზანი იქნება ხელი შეუწყოს უკრაინა-საქართველოს შორის ეკონომიკური ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას, ქართველ ბიზნესმენთა საქმიანობის წახალისებას და რაც მთავარია, არა მარტო უკრაინული, არამედ სხვა ქვეყნების ინვესტიციების მოზიდვას საქართველოში.

ჟურნალის პრეზენტაციაზე მოწვეული იყვნენ ის ბიზნეს-კომპანიები, რომლებიც პერიოდული გამოცემის პირველივე ნომერში მოხვდნენ, როგორც წარმატებული ორგანიზაციები. მათმა წარმომადგენლებმა მოკლე მოხსენებები წარმოადგინეს და აღნიშნეს, რომ მომავალშიც მზად არიან ინტენსიური ურთიერთობებისთვის უკრაინასთან და ყველა სერიოზულ წამოწყებასთან, რაც უკრაინის საელჩოს ინიციატივით განხორციელდება და მათი ბიზნესისთვის იქნება სასარგებლო.




**ანა წიწილაშვილი**

## გაითვალისწინეთ

# ჩვენი გუნება-განწყობილება

**არაკეთილსასურველი დღეები და საათები მარტში**



**მინიმუმების დღეებში გრაფიკით: 5, 11, 19, 21, 26,27 შეიძლება შევამჩნიოთ სისუსტე და ძალების დაქვეითება. ამ შემთხვევაში რეკომენდებულია, შევამციროთ დატვირთვები და გავზარდოთ დასვენების დრო.**

**დაძაბული დღეები 2010 წლის მარტში: 2 (08-12ძ, 7 (18-20ძ, 9 (06-09ძ, 13 (15-17ძ, 15 (00-03ძ, 16 (00-04ძ, 17 (08-11ძ, 23 (11-15ძ, 25 (15-17ძ, 29 (16-18ძ.**

**მარტში გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია: 3,7-17, 20, 23, 24, 28-30-ში. ამ დღეებში შესაძლებელია ციკლონებისა და ქარიშხლების ფორმირება, ყოველგვარი სახის ავარიულობის ზრდა, დაძაბულობა სოციუმში და სეისმოაქტიურობის გაძლიერება.**

**7– მთვარის უკანასკნელი მეოთხედი, დაძაბული მთვარის ასპექტები.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. არ არის გამორიცხული ღვიძლის, თირკმელების, ნერვული სისტემის, ფეხის სისხლძარღვების დაავადებათა გამწვავება, სისხლძარღვების ტკივილები, რადიკულიტი. რეკომენდებულია დაიცვათ დიეტა, ტკბილეული შეცვალოთ თაფლითა და ჩირით, არ გადავტვირთოთ ფეხები, დიდ ყურადღებას ნუ მიაქცევთ წვრილმანებს.

**9 – მთვარე-პლუტონის შეერთება.** შეინიშნება მიზანდასახულობა, დაბეჯითება მიზნის მიღწევაში, მოვალეობის გრძნობის გამწვავება, თუმცა სასიცოცხლო ძალები დასუსტებულია, იგრძნობთ სისუსტეს, სირთულეებს გადაწყვეტილების მიღებაში. შესაძლებელია საყრდენი და მოძრაობის აპარატის ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, კბილის ტკივილები. დიდია მოტეხილობისა და სიცივისგან დაავადებათა შესაძლებლობა. ერიდეთ ტრავმატიზმს, გაციებას, მძიმე ტვირთის გადატანას და ზედმეტ გადატვირთვებს ხერხემალზე. გაუფრთხილდით მუხლებს. კარგია დაწყებული საქმის დამთავრება, ხანგრძლივი გეგმების დასახვა, კონტაქტები გამოცდილ და გონიერ ადამიანებთან.

**13 – მთვარე-ნეპტუნის შეერთება.** შესაძლებელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს პათოლოგიური და არაადეკვატური რეაქციები, რაც შეიძლება გახდეს ნერვული სისტემის, სისხლის, სისხლძარღვებისა და ფეხების ქრონიკულ დაავადებათა გამწვავების მიზეზი. არ არის გამორიცხული გაღიზიანება, გაფანტულობა და საერთო სისუსტე. საჭიროა გამოვრიცხოთ ალკოჰოლი, შევინარჩუნოთ სიმშვიდე და გონიერება ნებისმიერ რთულ სიტუაციაში, მიიჩნიეთ ყოველივე ეს გამოცდად. ერიდეთ ტრავმატიზმს, მოწამვლებს, არარეალურ გეგმებს. ნუ აჩქარდებით, იყავით ყურადღებიანი და ფრთხილი ტრანსპორტით მოგზაურობის დროს. ხელსაყრელი დროა შემოქმედებისთვის, დასვენებისთვის, ფიზიკური ვარჯიშებისა და ინტელექტუალური საქმიანობისთვის.



**15 – მთვარე-იუპიტერის შეერთება.** ემოციურობა, ოცნება, რომანტიულობა, თანაგრძნობის გაძლიერება. მოსალოდნელია ინფექციური დაავადებების, ღვიძლის, სისხლის, ტერფებში ტკივილების გაძლიერება. რეკომენდებულია დაიცვათ დიეტა, არ გადატვირთოთ ღვიძლი ცხიმიანი და ცხარე საკვებით, უარი თქვით ალკოჰოლზე და ყავაზე, არ გადატვირთოთ თვალები და ფეხები. კარგია შეაჯამოთ განვლილი საქმეები და დაასრულოთ დაწყებული საქმე.

**16 – ახალი მთვარე. მთვარის შეერთება ურანთან და მერკურთან.** სავარაუდოა ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. ამ დღის დევიზია – „სიმშვიდე, მხოლოდ სიმშვიდე!“. მოდუნდით, მაშინ გაგეხსნებათ გონება, ადვილად მოძებნით პასუხებს შეკითხვებზე და ორიგინალურ იდეებზე. რეკომენდებულია ტერფების მასაჟი და ვარჯიში, წყლის პროცედურები, მცირეოდენი შეზღუდვა სითხისა ფეხის გასიების დროს, უარი თქვით სპირტიან სასმელებზე და ყავაზე. ცუდია რაიმეს დაგეგმვა და ახალი საქმის წამოწყება – რამდენიმე დღის შემდეგ შეიძლება შეგეცვალოთ თვალსაზრისი. იყავით ყურადღებიანი, ერიდეთ დაცემებს და ტრავმატიზმს, უყურადღებოდ არ დატოვოთ ჩართული ელექტროხელსაწყოები, ფრთხილად მოეპყარით პიროტექნიკურ მოწყობილობას.

**17 – მთვარე-ვენერას შეერთება.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. სავარაუდოა ემოციურობა, აფეთქებანი, უყურადღებობა და დაბნეულობა. არ არის გამორიცხული ყელყურ-ცხვირის, სასუნთქი გზების, ფილტვების დაავადებანი, ხელის ტრავმები, ნევროლოგია, თავის ტკივილი, ცუდი ძილი გაღიზიანების გამო. ერიდეთ ფაციფუცს, ტრავმატიზმს, გაციებას, საკვებით მოწამვლას, გამოიჩინეთ გულითადობა, ტაქტიანობა და კეთილგანწყობილება თქვენს გარშემო მყოფი ადამიანებისადმი. მორთეთ თქვენი სახლი, საქმე იქონიეთ ხელოვნების საგნებთან. რეკომენდებული არ არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება და ხელშეკრულებათა დადება.

**23 – მთვარის პირველი მეოთხედი, დაძაბული მთვარის ასპექტები.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. შესაძლებელია პათოლოგიური და არაადეკვატური რეაქციები, გაზრდილი ემოციურობა, შთაბეჭდილება, წყენის უნარი. ყველაზე სათუთია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, სარძევე ჯირკვლები, კვების გადასამუშავებელი სისტემა, არის მოსალოდნელი ფეხების დასიება. რეკომენდებულია უარი თქვათ სპირტიან სასმელებზე, მძიმე და ცხარე საკვებზე, აქტიურ წყლის პროცედურებზე, ერიდეთ გაციებას. არახელსაყრელი დროა ახალი საქმეების დაწყებისთვის, სახლისა და დასვენების მოწყობისთვის.

**25 – მთვარე-მარსის შეერთება.** მოსალოდნელია საკუთარი მნიშვნელობის შეგრძნება, აფეთქებითობა, სურვილი უკარნახოთ სხვებს თქვენი აზრები და იყოთ ყურადღების ცენტრში, მიიღოთ საჩუქრები და ქება. შესაძლებელია თავისა და გულის ტკივილები, უძილობა, ზურგისა და სისხლის მიმოქცევის ტკივილი, რადიკულიტი. ერიდეთ რევმატიზმს, იყავით ყურადღებიანი გარშემო მყოფი ადამიანებისადმი, ილაპარაკეთ კომპლიმენტები, აქეთ ბავშვები. ერიდეთ დავებს, ემოციურ აფეთქებებს, კონფლიქტურ სიტუაციებს. სასარგებლოა ფიზიკური ვარჯიშები, ბავშვებთან თამაში და თავისუფალი შემოქმედება.

**29 – მთვარე-სატურნის შეერთება.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. შესაძლებელია ფიზიკური სისუსტე, დეპრესია, საკუთარი თავის და გარშემო მყოფთა მიმართ უკმაყოფილება. მოსალოდნელია ქრონიკული დაავადებათა გამწვავება, ოსტეოქონდროზი, ტკივილები ძვლებსა და სისხლძარღვებში. არ არის გამორიცხული თირკმელების, შარდსადენი სისტემების დაავადებანი, ტკივილები წელის არეში, რადიკულიტი, კბილებთან დაკავშირებული პრობლემები. იმისთვის, რომ იცოცხლოთ და გააკეთოთ რაიმე მნიშვნელოვანი, საჭიროა თანამშრომლობა, რომელიც გულისხმობს ვალდებულებათა შესრულებას, დისციპლინას, პასუხისმგებლობასა და სამართლიან დამოკიდებულებას გარშემო მყოფთა მიმართ.

**30 – სრული მთვარე, დაძაბული მთვარის ასპექტები.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. შესაძლებელია თირკმელების, შარდსადენი სისტემების დაავადებანი, ტკივილები წელის არეში, რადიკულიტი. ერიდეთ გაციებას, ნუ ასწევთ სიმძიმეებს. როდესაც ახალ ვალდებულებებს იკისრებთ, გულდასმით გაითვალისწინეთ საკუთარი ძალები. სასარგებლოა სამკურნალო ტანვარჯიში, შეიქმენით ატმოსფერო, ურთიერთობა იქონიეთ თანამზრახველებთან და გონიერ ხალხთან.

---

**ფრიდონ თოდუა ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, აკადემიკოსი**
**ალბერტ თავხელიძე**
**და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.**

---

**საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმის წევრები გულისტკივილით იუწყებიან ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის**
**ალბერტ თავხელიძის**
**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს**

საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე მერაბ ბერძენიშვილი

---

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის 1952-1953 სასწავლო წლის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თანაკურსელი, მსოფლიოში აღიარებული ფიზიკოსი, მეცნიერების თვალსაჩინო ორგანიზატორი, აკადემიკოსი**
**ალბერტ თავხელიძე**
**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომელი, ექიმი რენტგენოლოგი**
**თინა ნიკოლოზის ასული გედევანიშვილი**
**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**შპს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი“, ქ. თბილისი, ს. კედიას ქ. №7 აცხადებს კონკურსს ცენტრის ბალანსზე რიცხული ფართის: I სართული 30 კვ.მ. საწყისი საკონკურსო ღირებულებაა 4 აშშ დოლარის შესაბამისი კურსით ლარებში დღგ-ს გარეშე.**

**ცენტრის პრივატიზების შემთხვევაში იჯარის ხელშეკრულება ჩაითვლება გაუქმებულად.**

**ობიექტის იჯარით გაცემის საკონკურსო პირობები:**

1. საიჯარო ვადა განისაზღვროს არა უმეტეს 1 წლით.

2. მოიჯარემ დროულად დაფაროს წყლის, ელექტროენერგიისა და დასუფთავების გადასახადები.

**კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება იწარმოებს გაზეთში გამოქვეყნების დღიდან ბოლო 15 კალენდარული დღის განმავლობაში. კონკურსი გაიმართება შპს „შშმპ“-თა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის შენობაში 2010 წლის 16 მარტს – ქ. თბილისი, ს. კედიას ქ. №7, ოთახი 21. ტელ. 34-80-47.**

## ჭადრაკის მოცარტი

# თბილისელებთან მეგობრობდა

მსოფლიო მე-8-ე ჩემპიონი ჭადრაკში (1960-61წ, საერთაშორისო დიდოსტატი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (1957წ, ჟურნალ „შახ“-ის რედაქტორი, პროფესიით ჟურნალისტი მიხეილ ტალი ქ. რიგაში დაიბადა (1936წ.



10 წლისა ჭადრაკს კარგად თამაშობდა და თანატოლებში ცოდნითაც გამოირჩეოდა, ვადაზე ადრე დაამთავრა საშუალო სკოლა და უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. ჭადრაკის თამაშის ტალისეულმა სტილმა საყოველთაო ინტერესი გამოიწვია – მოულოდნელი შეწირვები, მწვავე შეტევები, საოცარი კომბინაციები – მისი თამაშის მანერა გახლდათ.

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში (1960წ მან დამაჯერებლად მოუგო მიხეილ ბოტვინიკს (12,5:8,5წ; „საჭადრაკო ხელოვნების მოცარტი“, „ჭადრაკის ჯადოქარი“, ასეთი ეპითეტებით ამკობდნენ ახალგაზრდა ჩემპიონს.

სხვათა შორის, მისი „ჯადოქრობა“ ზოგიერთმა პროფესიონალმაც კი ირწუნა, დაიჯერა ის, რომ თითქოს ტალი მოწინააღმდეგეს აგიპნოზებდა და ამიტომ დიდოსტატმა ბენკომ მასთან ორთაბრძოლისას, შავი სათვალეებიც კი გაიკეთა. თუმცა ვერც ამან უშველა, რადგან ტალის მომნუსხავი ძალა მისი თამაშის სტილი იყო და არა ვინმეს დაგიპნოზება.

სტაჟიან ჭადრაკის მოყვარულებს ახსოვთ 1960-1961 წლების მატჩი მსოფლიო პირველობაზე მიხეილ ბოტვინიკსა და მიხეილ ტალს შორის და ის თბილისური საღამოები, რომლებსაც რუსთაველზე გრიბოედოვისა და სარაჯიშვილის ქუჩების შესაყართან, ჭადრაკის სახლში და მის შემოგარენში ატარებდნენ ამ ასპარეზობით დაინტერესებული ახალგაზრდები. სადემონსტრაციოდ დაფების წინ მოზღვავებული ჭადრაკის ტემპერამენტიანი მოყვარულები ელოდებოდნენ ყოველი სვლის ტელეფონით გადმოცემას, კამათობდნენ, აკეთებდნენ თავისებურ პროგნოზებს... ერთი სიტყვით რუსთაველზე საჭადრაკო ასპარეზობის ციებ-ცხელება არ ცხრებოდა.

ვინ იფიქრებდა, რომ 1961 წელს 50 წლის ბოტვინიკი დაიბრუნებდა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს (13:8წ. ეს „რკინის ბოტვინიკმა შეძლო. ლოგიკამ რევანში აიღო ფანტაზიაზე, მაგრამ როგორც ერთმა ჟურნალისტმა აღნიშნა „ტალი მაინც ტალია“.

ცნობილია, რომ ტალი თბილისის ხშირი სტუმარი გახლდათ. აქ მას მრავალი მეგობარი ჰყავდა. მისი უახლოესი მეგობრის ბ-ნ ოთარ გაბელაშვილის საკმაოდ უხვი მოგონებებიდან გიამბობთ ერთ კურიოზულ შეხვედრაზე.

ტალი თვლიდა, რომ „ფიშერი ჭადრაკის ფილოსოფოსია“. ამას ყოველთვის ვგრძნობდი, მაგრამ ჰავანაში საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობისას საბოლოოდ დავრწმუნდიო – და ამის დასტურად, აი რა გაუხსენებია:

– ვზივარ კაფე-რესტორანში, ვუყურებ წყვილთა ცეკვებს და თვალს არ ვაშორებ ერთ ქალბატონს, რომელიც ტანმაღალ და კუნთმაგარ მამაკაცთან ცეკვავს. შესვენებისას მისი პარტნიორის თანხმობით ვთხოვე ჩემთან ეცეკვა – ქ-ნი დამთანხმდა. მეორედ უკვე მისი პარტნიორის გაუფრთხილებლად ვეცეკვე, ხოლო მესამედ კინაღამ გაუთვალისწინებელი შემთხვევის მსხვერპლი გავხდი და ბედად გადარჩენილი საავადმყოფოში ტვინის შერყევის დიაგნოზით მომათავსეს... მე-7 სართულზე ვარ, ვწევარ საწოლში გაუნძრევლად, მნახველებს აკრძალული აქვთ ჩემთან შემოსვლა, შევყურებ ცას და უეცრად ვხედავ ჩემ სარკმელთან კოშკურა ამწის კალათას, რომელშიც ბობი ფიშერი დგას, მესალმება, მიღიმის და ხანმოკლე საუბრის შემდეგ ფიგურებს ალაგებს ჭადრაკის დაფაზე, რომელიც თან წამოუღია... ბ-ნი ოთარი დაინტერესებულა, რა შეხედულება ჰქონდა ტალს ბოტვინიკზე და ფიშერზე.

– მოჭადრაკეებმა ქედი უნდა მოიხარონ მათ წინაშეო – უთქვამს.

– პეტროსიანზე რა აზრის ხართ?

– ეს ის მასალაა, რომელსაც ვერავითარი ხერხი ვერ ხერხავს და ძალიან დიდი დროა საჭირო მის დასაძლევად!

გაარჩია ვინ როგორ ძლევს წინააღმდეგობებს, საუბარში ჩაერთო საქართველოს მოყვარულ ჩოგბურთელთა არაერთგზის ჩემპიონი, მოჭადრაკეთა ერთგული მეგობარი, ბ-ნი გივი ლაბაძე და გაიხსენა 1974 წელს მოსკოვში ქვეყნის პირველობაზე შემდგარი პარტია ტალსა და პეტროსიანს შორის, რომელსაც გთავაზობთ:

**თამაზ შენგელია**

**ტალი – პეტროსიანი**
**1979 წ.**



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +4 – +14 |
| ქუთაისი. | +5 – +18 |
| ბათუმი. | +6 – +12 |
| ზუგდიდი. | +3 – +14 |
| თელავი. | +5 – +13 |

## დღის კალენდარი

### 3 მარტი

ნიკოლოზისა, ყოვლისა საქართველოის კათალიკოს-პატრიაქისა (1591წ; ლეონ რომის პაპისა ( 460X461წ; აღაპიტო აღმსარებლისა, სვინაელი ეპისკოპოსისა, სასწაულმოქმედისა (IVწ; ღირსისა პავლე კორინთელისა, ქრისტესთვის სალოსად სახელდებულისა (VIIIწ; მოწამეთა ლეონისა და პარიგორისა, ლიკიის პატარში მოღვაწეთა; მოწამისა პიულისა.



ამოდის 06.33
ჩადის 17.53



ამოდის 21.37
ჩადის 07.31

### დაიბადნენ:

1845 – **გეორგ კანტორი,** გერმანელი მათემატიკოსი.
1920 – **რონალდ სირლი,** ინგლისელი მხატვარი და კარიკატურისტი.
1925 – **ეროსი მანჯგალაძე,** თეატრისა და კინოს მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. გარდაიცვალა 1982 წელს.

### გარდაიცვალნენ:

1875 – **ჟორჟ ბიზე,** ფრანგი კომპოზიტორი.
1981 – **ოლეგ დალი,** ცნობილი რუსი კინომსახიობი.

### მოვლენები:

**1802** – ვენაში გაიმართა ბეთჰოვენის „მთვარის სონატას“ პრემიერა.

**1875** – ჟორჟ ბიზეს ოპერა „კარმენი“ პირველად შესრულდა პარიზის „ოპერა კომიქსში“. პრემიერა ჩავარდა.

**1877** – ილია ჭავჭავაძის თაოსნობით გამოვიდა გაზეთ „ივერიის“ პირველი ნომერი.

**1878** – დაიდო სან-სტეფანოს ზავი, რომლითაც დასრულდა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომი. ამ ომის შედეგად რუსეთმა შემოიერთა ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (აჭარაძ მნიშვნელოვანი ნაწილი.

**1918** – დაიდო ბრესტის ზავი ერთი მხრივ, საბჭოთა რუსეთსა და მეორე მხრივ, გერმანიას, ავსტრია-უნგრეთს, ოსმალეთსა და ბულგარეთს შორის. ზავის შედეგად რუსეთი I მსოფლიო ომიდან გამოვიდა დათმო უკრაინის, პოლონეთის, ბალტიისპირეთისა და ამიერკავკასიის ტერიტორიების დიდი ნაწილი.

**1953** – სამთავრობო შეტყობინება სტალინის ავადმყოფობის შესახებ: „ამხანაგმა სტალინმა გონება დაკარგა“.

**1991** – ლატვიასა და ესტონეთში ჩატარდა სახალხო რეფერენდუმი, რომლის მონაწილეთა უმეტესობამ რესპუბლიკების საბჭოთა კავშირისგან გასვლას მისცა ხმა.

**ღირსშესანიშნავი დღე:**
**საქართველო** – დედის დღე.

მედიანიუსი

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7360 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3632 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6481 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.7792 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.5165 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1608 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1727 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1279 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5433 ლარი |



**გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 5 მარტს**

## კადრი



## ანეკდოტები

– მიხო, აბა, ერთი დაგვიმტკიცე პითაგორას თეორემა! – ეუბნება მასწავლებელი.

– მე რატომ? თუ საჭიროა, თვითონ დაამტკიცოს!

* * *

– მიხო, სად მიდიხარ?

– ავტობუსების გაჩერებაზე.

– სად მიემგზავრები?

– არსად. ბებიამ მთხოვა, ღილები შემიგროვეო...

* * *



– როდის წაგიყვანეს პირველად უცხოპლანეტელებმა?

– პირველად რომ წამიყვანეს, მეათე კლასში ვიყავი. მაგრამ ისინი უცხოპლანეტელები არ ყოფილან...

* * *

ტიპს ბანკიდან გაუნაღდებელი ქვითარი დაუბრუნდა. იგი ბანკში რეკავს და კითხულობს: „ფული მე არა მაქვს თუ ბანკს?“

* * *

– სარა, გთხოვთ, ქუჩაში ნუ გახვალთ: გუშინ გასტრონომში ამბობდნენ, ქალაქში მანიაკი გამოჩნდა, რომელიც მეძავებს კლავსო.

– მაგრამ მე რა შუაში ვარ?

– ბოლომდე არ მათქმევინეთ: ბოზებსაც კლავსო.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.